# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 23 თებერვალი 2007 №40 (2963) ფასი 50 თეთრი

# ვინერვიულოთ! ვიერთოვნულოთ!



ისევ იქნება გოლები და წვისაფართა ჭახანი, კამათი, გინება და წაგების მსაჯებზე გადაბრალება, მდიდარი და ღარიბი გუნდები, ფანები და ფლეგმატური მაყურებელი, ტრადიციული დაპირისპირებები, დერბები და უინტერესო თამაშები — დღეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი განახლდება ჩემპიონობისთვის მებრძოლი ხუთი-ექვსი გუნდით, გამოცდილი და ახალგაზრდა მწვრთნელებით, ახალი ლეგიონერებით, საქართველოში უცხოეთიდან დაბრუნებული ფეხბურთელებით და ორლარიანი ლატარიის ბილეთებით...

და, მოდით, ნურავინ იტყვის, ჩვენი ჩემპიონატი რა ჩემპიონატიაო, მას თავისი გულის ფეთქვა და გულის ხეთქვა აქვს...

# ფაჩულიას პირადი საქმე

## 70:70 ზაზასგან, ზედაც სარეკორდო 23 ქულა, მაგრამ...



ზღაპრულად ითამაშა ზაზა ფაჩულიამ: „ატლანტა ჰოქსის“ ქართველმა ცენტრმა მოჯადოებულ 22-ქულიან ზღვარს გადაახტა და ოთხშაბათს „სან ანტონიო სპურსთან“ ტიმ დანკანის წინააღმდეგ თამაშისას 23 წუთში 23 ქულა ჩააკალათა. მისთვის ეს სეზონის რეკორდია და ქულით აღემატება ამ რეგულარულში ოთხჯერ გახერხებულ ძველ სარეკორდო მონაგარს.

ფაჩულიას პირველ ტაიმში თითქმის არ უთამაშია, მეორეში კი მოედანზე მაშინ შევიდა, როცა მისი „ატლანტა“ 13 ქულით აგებდა. ქართველი მძლავრ მეტოქეებს არ შეეპუა და მათი კალათის ამოვსებაც დაიწყო. მესამე მეოთხედში ზაზამ ერთბაშად 15 ქულა გააკეთა და, რომ იტყვიან, პირადად გაათანაბრა ანგარიში — 70:70. ამით ზაზამ „ატლანტას“ თამაშის ხსნის კარგი შანსი მისცა, ბოლო მეოთხედშიც 8 ქულა და 5 მოხსნა მიაშველა, მაგრამ ბოლოს მაინც „სან ანტონიომ“ გაიმარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტომი არ გამოვიდა

## გოგუა ისევ ჩერჩიჩენკოსთან მიდის



ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი უგუნდოდაა

გოგიტა გოგუას „ტომში" გადასვლა გადაწყვეტილი ამბავი რომ გვეგონა, თურმე სად ხარ... 23 წლის ქართველი ესპანურ მარბელაში გასინჯვაზე ახლდა ციმბირულ გუნდს, ოთხი-ხუთი დღე ივარჯიშა და უკან წამოვიდა — „ტომის" ვებგვერდის ცნობით, გუნდის მწვრთნელმა ვალერი პეტრაკოვმა გოგიტაზე უარი თქვა.

ორიოდ კვირის წინ ფეხბურთელის მენეჯერმა მამუკა ჯუღელმა გვითხრა, გოგიტა „ტომთან" ზაფხულამდე აფორმებს კონტრაქტს, ყველაფერი მოგვარებულიაო.

აი, რას ამბობდა თავად გოგუა ჯერ კიდევ გუშინწინ ერთ რუსულ გაზეთთან ინტერვიუში, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ

— მიუხედავად იმისა, რომ „ჰართის" ვარიანტი არ გამოვიდა, ევროპაში გადასვლის სურვილი არ დამიკარგავს. მოკლედ, ვბრუნდები რუსეთში, აქაურ ჩემპიონატს უკვე შევეგუე.

**— ამბობდნენ, გოგუას „ყუბანი" იწვევსო. მით უმეტეს, ამ გუნდის მწვრთნელი პაველ იაკოვენკოა, რომელთან ერთადაც „ხიმკიში" მუშაობდით.**

— ახლა ამაზე მსჯელობას აზრი არ აქვს. ფაქტია, „ტომში" ვარ გასინჯვაზე.

**— როდის გააფორმებთ „ტომთან" კონტრაქტს?**

— ყველაფერი უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს. კლუბის ხელმძღვანელობას დაველაპარაკები და ვნახოთ...

**— ტომსკი საქართველოდან ხუთი ათასი კილომეტრის სიშორეზეა. სამშობლოში ხშირად ჩასვლა ძალიან გაგიჭირდებათ და ეს არ გაფიქრებთ?**

— არა. მთავარია, კარგად ვითამაშო და ძირითადში დავმკვიდრდე. საქართველოში რუსეთის ჩემპიონატს თვალს ადევნებენ და, ვფიქრობ, ნაკრების მწვრთნელები არ დამივიწყებენ...

ასეა თუ ისე, ოფიციალური ვერსიით, „ტომის" მწვრთნელს გოგუა დაუწუნებია. მიმომხილველთა ვარაუდით, ტომსკელთა ხორვატი ლეგიონერი ხრვოე ვეიჩი „ზენიტში" გადადიოდა, ჰოდა, თუ ასე მოხდებოდა, გოგიტას მაშინ შეიძენდნენ, ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, ვეიჩი ციმბირში დარჩა და ჩვენიანის საქმეც ალბათ ამან ჩაშალა.

და სად გააგრძელებს კარიერას გოგუა? რუსულ პრემიერლიგაში მას მსურველები არ ჰყავდეს, წარმოუდგენელია. სიტუაციის გარკვევას ანდრეი ჩერვიჩენკოსთან ვეცადეთ — გოგიტას კონტრაქტი სწორედ ამ ბიზნესმენის ხელშია და კლუბს, რომელიც ჩვენიანის შეძენას მოისურვებს, ჩერვიჩენკოსთან მოუწევს საქმის დაჭერა.

**— რა მიზეზით ჩაიშალა გოგუას „ტომში" გადასვლა?**

— ვერ გეტყვით, ჯერ არ ვიცი.

**— ამას წინათ გვითხარით, გოგუათი მოსკოვური გუნდიცაა დაინტერესებულიო. კონკრეტულად ვერ გვეტყვით?**

— კლუბს ჯერ ვერ დავასახელებ. გოგუას ალბათ მალე შევხვდები და ამის მერე გაირკვევა ყველაფერი.

**ილია ნანობაშვილი**

## UEFA CUP შეფას თასი 2006-2007

### მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები

*ალკმაარი (ჰოლანდია)* 2:2 ფენერბაჰჩე (თურქეთი) (3:3)

0:1 მეტინი (21), 0:2 (ალექსი 34), 1:2 მარტენსი (63), ოპდამი (87)

ბლექბერნი (ინგლისი) 0:0 *ლევერკუზენი (გერმანია)* (2:3)

ნანსი (საფრანგეთი) 0:1 *შახტარი (უკრაინა)* (1:1)

0:1 ფერნანდინიო (71)

დინამო (რუმინეთი) 1:2 *ბენფიკა (პორტუგალია)* (0:1)

1:0 მუნტიანუ (23), 1:1 ანდერსონი (50), 1:2 კატსურანისი

*მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)* 1:0 ცსკა (რუსეთი) (0:0)

1:0 კოლაუტი (14)

*სელტა (ესპანეთი)* 2:1 სპარტაკი (რუსეთი) (1:1)

1:0 ნენე (20), ჟუნკალი (78), 2:1 ტიტოვი (88)

*ნიუკასლი (ინგლისი)* 1:0 ზულტე-ვარეგემი (ბელგია) (3:1)

1:0 მარტინსი (68)

*ოსასუნა (ესპანეთი)* 0:0(1:0დ.დ.) ბორდო (საფრანგეთი) (0:0)

1:0 ნეკოუნამი (119)

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 0:0 *ლანსი (საფრანგეთი)* (1:3)

*პსჟ (საფრანგეთი)* 2:0 აეკ (საბერძნეთი) (2:0)

1:0 ფრაუ (42), 2:0 მენდი (903)

პარმა (იტალია) 0:1 *ბრაგა (პორტუგალია)* (0:1)

0:1 დიეგო (89)

*სევილია (ესპანეთი)* 1:0 სტიაუა (რუმინეთი) (2:0)

1:0 კერჟაკოვი (45)

აიაქსი (ჰოლანდია) 3:1 *ვერდერი (გერმანია)* (0:3)

1:0 ლეონარდო (3), 1:1 ალმეიდა (14), 2:1 ჰუნტელაარი (60), 3:1 ბაბელი (74)

*რეინჯერსი (შოტლანდია)* 4:0 ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) (1:2)

1:0 ფერგიუსონი (24), 2:0 ბოიდი (35), 3:0 ფერგიუსონი (73), ადამი (90)

*ესპანიოლი (ესპანეთი)* 2:0 ლივორნო (იტალია) (2:1)

1:0 დაკრუზი (15), კორო (50)



# ტორპედო იმედაძით შეივსო

**დღეს** ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე იწყება და ბოლო წამს ქუთაისის „ტორპედომ" კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა — „ზესტაფონის" 26 წლის თავდამსხმელი გრიგოლ იმედაძე რიონისპირულ გუნდში სეზონის ბოლომდე დარჩება. გასარკვევი მხოლოდ ფორმალური საკითხებია და არ არის გამორიცხული, იმედაძემ დღესვე მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან" ითამაშოს.

პირველი წრის შემდეგ იმედაძე ყაზახეთში აპირებდა თამაშს, მაგრამ, როგორც თვითონ გვითხრა, ტრავმის გამო ყარაგანდის „შახტიორში" ვერ მოეწყო და საქართველოში დაბრუნდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ქართველური მიმოხილვა

„ნატვრის ხეში" რომ იორამია, ისეა ჩემი საქმე, იმ დღეს თებერვლის გამხრალ მიწას ყური დავადე და შევძახე: მოდის!

ყურადღება არავინ მომაქცია.

ისევ შევძახე: მოდის!

— წამოდი, დედიკო, ცეკვაზე გვაგვიანდება — ქალმა, რომელიც ბავშვს ქაჩავდა, ალმაცერად გამომხედა.

მე კი ჯიუტად გავიმეორე: მოდის!

ბალახის სიმაღლიდან კარგად ჩანდა გარშემო მიმოფანტული ერთჯერადი შპრიცების განლაგება. ვექტორებად რომ წარმომედგინა, კაი მაგარი ტოლქმედი გამოვიდოდა.

— მაინც მოდის!

ვილაც კაპოტახდილი „ვექტრას" ძრავაში იქექებოდა, მეორე კი გვერდით ედგა და ემოციურად უყვებოდა:

— აზრზე ხარ, მაინცდამაინც „რიდინგმა" გამიმაზა. უკვე მერამდენედ მომდის ერთი და იგივე, ყველას ვარტყამ და ერთი მიმაზავს.

მინდოდა მეთქვა, აბა, პირიქით რომ იყოს, მაზვას თავი უნდა დაანებო-მეთქი, მაგრამ ამის ნაცვლად ისევ ის წამომცდა:

— მოდის!

— ადექი, ბიჭო, არ გაცივდე — გამეხუმრა ხაჭაპურების ყუთით შეიარაღებული ლტოლვილი ქალი და ბაზრობის მიმართულებით გაემართა. გავიფიქრე, აფსუს, ასეთი ფიზმომზადება-მეთქი და უკნიდან დავაწიე:

— მოდის!

ქუჩის ბოლოში სასწრაფო დახმარების მანქანა გამოჩნდა. ალბათ, წამოდგომის დრო იყო, მაგრამ... რა გინდა ქნა, როდესაც მოდის?

სასწრაფო მომიახლოვდა და ჩამიარა.

— მოდის!

— მოდის და მოვიდეს, რა გაყვირებს?! — ჩაიბუზღუნა მოხუცმა კაცმა. ხელში ცელოფნის გამოვსებული პარკით ნაგვის ყუთისკენ მიემართებოდა — ვინ მოდის მაინც?

— საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრე.

— აუჰ!

ქუჩის ბოლოში ახლა ნაგვის მანქანა გამოჩნდა. ჩემს ახალგაზრდობაში ნათურების ეგეთ ციმციმს „სვეტამუზიკას" ვეძახდით და ვცეკვავდით. მეორე ბოლოდან ნარინჯისფერი მენაგვეები შემომეჯარნენ. რომ არ გავეგავეთ, წამოვდექი.

— მოდის! — ვთქვი. თან ტანსაცმელს ვიბერტყავდი.

— კარგია — მიპასუხა მენაგვემ.

ველარ მოვითმინე: — აი, ეგა ხართ ქართველები, თურქეთს რომ ვუგებთ, მოგწონთ, საქართველოს ჩემპიონატი კი მეორეხარისხოვანი რაღაც გგონიათ. ის ნაკრები საიდან მოვა, ეს თუ არ იქნა.

— გაიწი, გაიწი. ნაგავზე დგახარ.

— აი, შენ იცი, რომ ჩემპიონატის ლიდერმა მწვრთნელი შეცვალა? გაგიგია ასეთი რამ? ამაზე ხომ ნებისმიერ ქვეყანაში ერთი კვირა მაინც ილაპარაკებდნენ.

— გადი, რა...

— „დინამომ" ფეხბურთელები რომ დაიმატა, იცი?

— ვა, გაიწი რა...

— რამდენიმე გუნდი გაკოტრების პირას რომ არის.... აი, შენ რას ფიქრობ, რამდენი გუნდი უნდა იყოს უმაღლეს ლიგაში?

— ოცი და ყველა მაგარი. გადი რა...

— ოცი როგორ? ალბათ, თექვსმეტი გინდოდა გეთქვა...

მეტი ლაპარაკი კი აღარ დამცალდა, მენაგვეების გამოძახებულმა პატრულმა მკლავები გადამიგრიხა და იძულებით წამიყვანა სამსახურში.

ამაზე გამეღვიძა. თებერვლის მზიანი, თბილი დილა იყო. გამახსენდა, რომ მართლა მოდის და გამიხარდა.

**პაპუნა ძედია**

ქართველური მიმოხილვა

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე, მე-14 ტური

# ვისი ტვინი უფრო კარგად მუშაობს?

## რას მოუტანს რევაზ ძოძუაშვილის თავი რუსთავს?

აჰა, იწურება თებერვალიც და იწყება ის, რაც მუდამ უკმარისობის გრძნობას გვიტოვებს, ის, რაც ვერა და ვერ იზიდავს ბევრ გულშემატკივარს, მაგრამ ჩვენია და უიმისოდ არ შეგვიძლია — დღეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი განახლდება.

რას ველოდებით დღეიდან მაისის შუამდე? უეჭველად იქნება შფოთი და ნერვებისწყვეტა, მსაჯებზე გულისწყრომა, თანდათან უფრო გამწვავდება ვითარება, მაგრამ მარტო ცუდს ნუ ვიტყვით: უეჭველადვე იქნება ლამაზი თამაშები, ლამაზი გოლები, გამოჩნდებიან საინტერესო და პერსპექტიული ფეხბურთელები... აღარაფერს ვამბობთ დაძაბულობაზე — ექვსი თუ არა, დაახლოებით ხუთი თანაბარი ძალის გუნდი მაინც იბრძოლებს ჩემპიონობისთვის და ბევრი რამ ალბათ მწვრთნელის გამჭრიახობაზე იქნება დამოკიდებული...

### ოლიმპი – სიონი

ტურის ცენტრალური მატჩი რუსთავშია — ლიდერი მეექვსეადგილოსანს, მაგრამ საგრძნობლად გაძლიერებულ გუნდს მასპინძლობს და ვერავინ შეიმატეს, „ოლიმპი" უპრობლემოდ აიღებს სამ ქულას. რევაზ ძოძუაშვილის გუნდს უცხოური შეკრება არ გაუვლია, „სიონმა" კი მოსკოვში თანამეგობრობის თასზე ითამაშა, სადაც „ოლიმპის" რამდენიმე ფეხბურთელიც იახლა.

რევაზ გოცირიძე, მირზა მერლანი, გიორგი ნავალოვსკი, ზურაბ არზიანი, დავით ჭიჭველიშვილი — ესენი რუსთაველთა ახალწვეულები არიან, ბოლნისელები კი ლევან სანიკიძით, ზურაბ მამალაძით, ზურაბ ექონიათი, ლევან სილაგაძით, შოთა ბაბუნაშვილით და ლევან კორღალიძით გაძლიერდნენ. მადა ჭამაში მოდისო და „სიონის" ხელმძღვანელობას ცხრაქულიანი ჩამორჩენა თვალში ეპატარავება და ჩემპიონობაზე ფიქრობს. დღეს „სიონი" ვერ ათამაშებს ვიტალი დარასელიას, რადგან მისი სატრანსფერო ფურცელი ყაზახეთიდან ჯერაც არ ჩამოსულა.

### ბორჯომი – დინამო

დავით დიღმელაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, მილოშ კრშკო, ირაკლი სირბილაძე, ილია სპასოევიჩი, ნედ ზელიჩი — გვარიანი ნამატით ხვდება დუშან უჰრინის „დინამო" მეორე წრეს და, ცხადია, მხოლოდ მოსაგებად ჩადის ბორჯომში. „დინამო" მეხუთე ადგილზეა და ჩემპიონობა თუ უნდა, კონკურენტებს ხომ უნდა მოუგოს და, დანარჩენებთან წაფორხილებასაც თავი უნდა ანებოს.

„ბორჯომმა" წინა სეზონში „დინამოს" ორივე თამაში მოუგო, მაგრამ კურორტელები მაშინდელივით ველარ მძლავრობენ. ვლადიმერ ხაჩიძეს რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავს და, საერთოდაც, არა გვგონია, მასპინძლებმა იოლად მოუხარონ თავი ფავორიტს.

### ჩიხურა – ამერი

ორიოდ კვირის წინ „ჩიხურას" დაშლა ემუქრებოდა, მაგრამ საჩხერის გამგეობამ უსპონსოროდ დარჩენილ კლუბს ხელი გაუმართა და ზემოიმერლებმაც რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი დაიმატეს — ზვიად სტურუა, რევაზ ქემოკლიძე, ჯაბა დვალი... და მაინც, გორის „ქართლზე" ფავორიტი „ამერია". სატურნიროცხრილს რომ თავი დავანებოთ, ამ ორი კლუბის ინფრასტრუქტურაში ცა და მიწასავით განსხვავებაა. ერთი შეხედვით, „ჩიხურას" ცუდად არ უთამაშია თასზე „სიონთან" და ამ ლოგიკით, გიორგი ჩიხრაძის გუნდსაც კარგი ბრძოლა უნდა გაუმართოს, ვნახოთ...

### ვიტ ჯორჯია – ტორპედო

ძნელი წარმოსადგენია „ვიტ ჯორჯია" დავით დიღმელაშვილისა და გიორგი ფეიქრიშვილის გარეშე, მაგრამ გუნდის თავკაცი ნესტორ მუმლაძე ირწმუნება, ამ ფეხბურთელთა წასვლა დასუსტებას არ ნიშნავსო. ვიტელები ჩემპიონობისთვის თუ არა, ევროსაგზურისთვის ნაღდად იბრძოლებენ, აი, „ტორპედოზე" კი რა გითხრათ — პირველი წრის შემდეგ ქუთათურებს დავით გამეზარდაშვილი გამოაკლდათ და საინტერესოა, რას შემატებს გუნდს ახალი მწვრთნელი გიორგი კიკნაძე.

### ლოკომოტივი – ზესტაფონი

ფეროელები მშიერი მგლებივით არიან, ორი წელია, მოწინავე გუნდებში ტრიალებენ, მაგრამ ტიტულს ვერა და ვერ ეღირსნენ. „ზესტაფონის" შემადგენლობა შარშანდელს აქეთ დიდად არ შეცვლილა თემურ მახარაძის გუნდი ყველა, ხაზში თანაბრად ძლიერადაა დაკომპლექტებული, ზურაბ იონანიძე-გოგი ფიფიას შემტევი ტანდემი კი პირველ წრეში ლამის ყველა მეტოქეს სისხლს უშრობდა.

„ლოკომოტივის" ნათელი წერტილი კი 16 წლის ლევან ყენიაა, რომელიც მალე ესპანურ „ლევანტეში" გადავა.

### მერანი – კახეთი

თელაველები უკვე შეეგუენ გავარდნას, სერგო კუტივაძის „მერანი" კი ამ ზონიდან გვარიანადაა დაშორებული. მერანელებმა მოსამზადებელ პერიოდში ძალიან ბევრი ფეხბურთელი გასინჯეს და ვნახოთ, რა გაქანების გუნდი ეყოლებათ...

### ბათუმი – დილა

ზღვისპირელები ექვსი ქულით უსწრებენ ბოლოსწინაადგილოსან გორელებს, რომლებმაც ათი ახალი ფეხბურთელი შეიმატეს.

„ბათუმი" კი უმეტესად თბილისის „დინამოდან" განათხოვრებული ფეხბურთელებით შეივსო, რომელთა შორის გია ნერგაძეს გამოვარჩევდით. ასევე საყურადღებოა „ზესტაფონიდან" გიორგი თურმანიძის შემატება.

**ილია ნანობაშვილი**



ამერელი გრიგოლ დოლიძე პირველი წრის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო




ბორჯომი. 23 თებერვალი. 14 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — დინამო**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე, კ. ბერიძე; ხ. გაგნიძე
დამკვირვებელი: ა. დურსუნიში

ბათუმი. 23 თებერვალი. 14 საათი. ადლი

**ბათუმი — დილა**

მსაჯები: კ. ჭაჭუა; ნ. რუსიშვილი, ი. მაჩიტაძე; გ. კიკაჩეიშვილი
დამკვირვებელი: ს. კვარაცხელია

რუსთავი. 23 თებერვალი. 14 საათი. ფოლადი

**ოლიმპი — სიონი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, კ. გაბრიძე; ი. ურუშაძე
დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

თბილისი. 23 თებერვალი. 14 საათი. მერანი

**მერანი — კახეთი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ს. სპიცინი, ი. კაკაბაძე; დ. სანაია
დამკვირვებელი: ე. სილაგავა

თბილისი. 23 თებერვალი. 14 საათი. მიხეილ მესხი

**ლოკომოტივი — ზესტაფონი**

მსაჯები: მ. მაისურაძე; გ. ჩიგოგიძე, ო. მოლოდინაშვილი; ვ. გუმბერიძე
დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი

გორი. 23 თებერვალი. 14 საათი. ქართლი

**ჩიხურა — ამერი**

მსაჯები: ო. ხეცაძე; ა. კოკაია, ი. უკლება; ზ. ასკაროღლი
დამკვირვებელი: დ. მაღლაფერიძე

მცხეთა. 23 თებერვალი. 14.10 საათი. არმაზი

**ვიტ ჯორჯია — ტორპედო**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ზ. ფიფია, ლ. თოდრია; ა. გუნთაძე
დამკვირვებელი: ვ. ეჯიბია

### დისკვალიფიცირებულნი

ვიტ ჯორჯია: მ. მენთეშაშვილი; ამერი: დ. დობროვოლსკი;
დინამო: ს. იაშვილი, გ. მერებაშვილი; ლოკომოტივი: ვ. გოჩაშვილი;
ბორჯომი: გ. მოდებაძე, გ. ბენდელიანი; დილა: ბ. ჩიტაია; კახეთი: ს. მაჩაიძე




ფეარ პლეის პრინციპები საქართველოს ჩემპიონატშიც ფასობს



# კიდევ ერთი U19

## ჰაინც ტოპმიოლერმა უკვე სიაც შეადგინა

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის ახალ შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. 19-წლამდელთა ახლანდელი ნაკრები კი მაისში ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში ითამაშებს, მაგრამ ჰაინც ტოპმიოლერის ერთი წლით უმცროსი გუნდი (1989 და შემდეგ წლებში დაბადებულები) პარალელურად მომავალ შესარჩევ ციკლსაც დაიწყებს და მზადებას ადრიანად შეუდგა — 28 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით პორტუგალიაში ოთხთა ტურნირზე გამოვა. ჩვენებურებთან ერთად ტურნირზე მასპინძელთა, ირლანდიისა და ბელგიის ნაკრებები ითამაშებენ. 1 მარტს ჩვენების მეტოქე ირლანდია იქნება, 2-ში პორტუგალია, ხოლო 4-ში ბელგია. ჰაინც ტოპმიოლერმა უკვე დაასახელა გუნდის შემადგენლობა, რომლითაც პირინეის ნახევარკუნძულზე ითამაშებს:

*მეკარეები: როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), გიორგი მაკარიძე (დინამო);*

*მცველები: ლაშა ცუტკირიძე (ოლიმპიკი), გიორგი ხუმარაშვილი, ამირან სანაია (ორივე ზესტაფონი), ვახტან ქვრივიშვილი (გაგრა);*

*ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, ტარიელ სოფრომაძე (ყველა ზესტაფონი), თამაზ ჩარგეიშვილი, გიორგი სალარიძე (ორივე ჩიხურა), რევაზ წულაძე (ვიტ ჯორჯია), ლევან ყენია (ლოკომოტივი), დავით თარგამაძე (დინამო);*

*თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ვახტანგ ფანცხავა (გაგრა), რევაზ ღვინიაშვილი (ოლიმპიკი), დავით ჯანელიძე (ზესტაფონი).*

ნაკრები ლისაბონში 26 თებერვალს მიუნხენის გავლით გაემგზავრება, სადაც გუნდს ფრაიბურგში სტაჟირებაზე მყოფი დავით თარგამაძე, ეროვნული და 21 წლამდე ნაკრებების მთავარი მწვრთნელები, კლაუს ტოპმიოლერი და პეტარ სეგრტი შეუერთდებიან. შინ გუნდი 6 მარტს დაბრუნდება.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს 19-წლამდელთა ამ ნაკრების მეტოქეები 1 მარტს ბარსელონაში გაირკვევა. კენჭისყრას ეროვნული ნაკრების მწვრთნელი რალფ მინგე დაესწრება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სირაძემ გოლით იამხანაგა



ერცგებირგეს აუე-ს თავდამსხმელმა დავით სირაძემ ობერლიგის „აუერბახთან" ამხანაგურ მატჩში გოლი გაიტანა, მისმა გუნდმა 4:0 მოიგო.

სირაძის გოლი იმით არის აღსანიშნავი, რომ მეორე ბუნდესლიგის აუე-ში დიმიტარ რანგელოვის მისვლის შემდეგ, ერცებერგელთა მთავარი მწვრთნელი გერდ შადლიხი ქართველ თავდამსხმელს ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ამყოფებდა. ამხანაგურ მატჩში თავის გამოჩენამ შესაძლოა, სირაძე ისევ ძირითადს დაუბრუნოს და თუ ეს მოხდა, მეორე ბუნდესლიგაში ქართულ დერბისაც ვიხილავთ — აუე ალექსანდრე იაშვილის და ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგს" სტუმრობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბრაზილიელებს ზესტაფონში რიოს კარნავალი არ უშვებს

**28 თებერვლისთვის** დაგეგმილი მატჩი „ზესტაფონსა" და დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" შორის არ გაიმართება. ეს ცნობა უკრაინული გუნდის ვებგვერდმა გაავრცელა. თამაშის ჩაშლის მიზეზის გასარკვევად იმერული კლუბის პრესსამსახურის უფროსს სერგო ფუტკარაძეს დავუკავშირდით...

— გუნდების შორის მოლაპარაკება კი მიმდინარეობდა, მაგრამ დეტალები დაზუსტებული არ იყო. უკრაინელებთან გარკვეულ საკითხებზე ვერ შევთანხმდით და ეს მატჩი მხოლოდ გადაიდო. ის მეგობრული ურთიერთობა, რაც ამ კლუბებს შორისაა, კვლავ გაგრძელდება და ეს მატჩიც შედგება, თარიღი კი ჯერ დასაზუსტებელია — გვითხრა ფუტკარაძემ.





ჟონატასი და ლეანდრო „ზესტაფონში" ჯერ მხოლოდ ვარჯიშობენ

ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა იმერული კლუბის შემადგენლობაში ორი ბრაზილიელი — ლეანდრო და ჟონატასი. როგორც ფუტკარაძემ გვითხრა, მათი სატრანსფერო ფურცლების ჩამოსვლას რიოს კარნავალი აბრკოლებს, რომელიც ბრაზილიაში დღესასწაულია და ამ დღეებში ყველა უქმობს. ფუტკარაძისავე თქმით, ლეანდრო და ჟონატასი ზესტაფონური კლუბის მაისურას, სავარაუდოდ, გაზაფხულის დადგომისთანავე მოირგებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კვეტენაძე შახტიდან ამოვიდა

## ნუ მეკითხებით ასაკს, ვივარჯიშებ და ვითამაშებ!



**იყო დრო, კახა კვეტენაძე ქუთაისის „ტორპედოს" კაპიტნობდა და რიონისპირულ გუნდში საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა. 2005 წელს შემტევმა ნახევარმცველმა კარიერა ყაზახეთში გააგრძელა. ერთწლიანი განშორების შემდეგ კი კვეტენაძე „ტორპედოს" დაუბრუნდა, მაგრამ სეზონის დაწყებამდე ტრავმა მიიღო და გუნდში გაჩერებას აზრი არ ჰქონდა. თითქოს მისთვის კარიერა აქ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ უფეხბურთოდ გაძლება არ შეეძლო და თამაში პირველი ლიგის ტყიბულის „მეშახტეში" დაიწყო. წელს კი, ყველასგან მოულოდნელად, 36 წლის კვეტენაძე ისევ „ტორპედოში" გამოჩნდა...**

— ტრავმამ თითქოს ფეხბურთზე თავის დანებებისკენ მიბიძგა, მაგრამ გული მაინც მოედნისკენ მიწევდა და ერთი წელი „მეშახტეში" ვითამაშე. მერე გიორგი კიკნაძემ და ზაზა ზამთარაძემ „ტორპედოში" დაბრუნება შემომთავაზეს და მეც უარი არ მითქვამს.

— ასაკი არ გაშინებს?

— ჩემზე უფროსებს უთამაშიათ ფეხბურთი და თანაც ბევრად უკეთეს ჩემპიონატებში. თუ რეჟიმს ნორმალურად დავიცავ და ვარჯიშს არ მოვუკლებ, ერთი-ორი წელიწადი საქართველოს ჩემპიონატში კიდევ ვითამაშებ.

— „ტორპედოში" დაბრუნებულს სხვა გუნდი დაგხვდა...

— შედარება ნამდვილად არ შეიძლება. 2005 წლამდე „ტორპედო" ახლანდელზე გაცილებით ძლიერი გუნდი იყო, სულ საჩემპიონოდ შემართული. ახლა „ტორპედოში" ახალგაზრდა, გამოუცდელი ბიჭები არიან, მაგრამ ძალიან ნიჭიერები და ბრძოლისუნარიანები, ეს მათი პლუსია. თანდათან გამოცდილებაც დაუგროვდებათ და თავიანთ სიტყვას იტყვიან.

— როგორ ფიქრობ, ეს „ტორპედო" რა სტილის გუნდი იქნება?

— ძოძუაშვილი-ყიფიანი სხვა ფეხბურთს გვათამაშებდნენ, შტელინი — სხვას, კამპუში — სულ სხვას. კიკნაძე კი უფრო შემტევი ფეხბურთის მოყვარულია.

— ამ ეტაპზე რა მიზნები გაქვთ?

— ალბათ ხუთეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ, ძირითად აქცენტს კი თასზე გადავიტანთ. „ბათუმთან" საგარეო მატჩი 0:0 ვითამაშეთ და ეს ნახევარფინალში გასასვლელად მეტოქეზე უკეთეს შანსს გვიტოვებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დაუსრულებელი ამბავი?

## დემეტრაძის სარჩელში ცვლილებებია

„დემეტრაძის საქმე" ჩაიხლართა. ჩვენიანმა სარჩელი ათიოდ დღის წინ შეიტანა სასამართლოში, რათა უკრაინის ჩემპიონატში მოთამაშე ლეგიონერებზე ლიმიტი გაუქმებულიყო, მაგრამ დემეს ადვოკატმა სარჩელში ცვლილება შეიტანა. კერძოდ, რა შეიცვალა, ამაზე უკრაინული სააგენტოები არაფერს იუწყებიან.

სასამართლო პროცესი 2 მარტსაა დანიშნული. უკრაინელი იურისტები ვარაუდობენ, რომ პროცესი გაიწელება. დემეტრაძის სარჩელი რომც არ დააკმაყოფილონ, ფეხბურთელს აპელაციის შეტანის უფლება აქვს და ეს კიდევ საკმაო დროს წაიღებსო.

და კიდევ: უკრაინაში კვლავაც არ წყდება იმაზე ლაპარაკი, რომ ამ სარჩელის შეტანა დემეტრაძის კი არა, დონეცკის „მეტალურგის", კერძოდ კი, კლუბის ვიცე-პრეზიდენტ დმიტრი სელიუკის დაგეგმილი იყო.

# ინტრიგებით შეკმაზული ევროპული აჯაფსანდალი





AFP

## მანჩესტერი: მოკვეთეთ ლილი! ლილი: მოკვეთეთ მანჩესტერი!

**ინგლისური** „მანჩესტერის" ფრანგ ფორვარდ ლუი საას მიაჩნია, რომ „ლილის" ფეხბურელები სამარცხვინოდ მოიქცნენ.

შეგახსენებთ, რომ რაიან გიგზის გოლით (კედლის დაყენებამდე დაარტყა) გაბრაზებული მასპინძლები მოედნიდან გავიდნენ და თამაშის გაგრძელებას უარობდნენ.

„მსგავსი რამ არასოდეს მინახავს. მათ უნდა რცხვენოდეთ ასეთი საქციელის გამო" — განაცხადა ფრანგმა, რომელიც თანამემამულეებს მოედანზე დაბრუნებას სთხოვდა.

„მანჩესტერის" ყოფილ ვარსკვლავ პოლ პარკერს კი მიაჩნია, რომ „ლილი" ტურნირიდან გასაგდებია: „პოლიციელებმა ხელკეტები ურტყეს ინგლისელ ფანებს და ცრემლსადენი გაზიც გამოიყენეს. ხომ შეიძლებოდა, ეს ტრაგიკულად დასრულებულიყო?! როგორც ჩანს, ლანსის სტადიონზე სრული განუკითხაობაა. ამიტომ „ლილმა" „სტად დე ფრანსზე" უნდა ითამაშოს. თუ ამაზეც უარს იტყვის, მოკვეთონ."

საპირისპიროს ფიქრობს „ლილის" გენერალური დირექტორი ქსავიე ტუილოტი: „ის, რაც მანჩესტერელმა ფანებმა ჩაიდინეს, იგივეა, როტერდამის „ფეიენოორდის" ქომაგებმა რომ გააკეთეს. ამის გამო „ფეიენოორდი" უეფას თასიდან მოკვეთეს და „მანჩესტერიც" ტურნირიდან გაძევებას იმსახურებს".

**ვაჟა ხუციშვილი**

## ფეხბოთლელი რონალდუ

### პორტუგალიელი უკვე ყველაზე და ყველაფერზე ბრაზდება...

**კრიშტიანუ რონალდუმ** წყლიან ბოთლებს ფეხი ისე დაარტყა, რომ ტრავმა მიიღო და, შესაძლოა, ხვალ „ფულემთან" მატჩში ვერ ითამაშოს.

„ლილთან" საჩემპიონთალიგო შეხვედრაში პორტუგალიელი ნახევარმცველი 67-ე წუთზე შეცვალეს და ამით გაბრაზებულმა მოედნის კიდესთან ჯერ ქურთუკის ჩაცმა იუარა, მერე კი მარჯვენა ფეხით ბოთლებს დაერია.

დაზიანებულ ტერფზე უმალ ყინული დაადეს, თვითმფრინავში კი — საგანგებო დამცავი ფირფიტაც გაუკეთეს.

რონალდუს რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდა „ლილთან", მაგრამ ვერ გამოიყენა, ხოლო მანჩესტერელთა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა შეცვლის მიზეზად ფეხბურთელის დაღლა დაასახელა.

**ვაჟა ხუციშვილი**





კრიშტიანუ რონალდუ დარტყმამდე და დარტყმის შემდეგ

## ღარიბების ანრი

**GOAL.COM-ის** ცნობით, ესპანური „სევილიას" მალელ ფორვარდ ფრედერიკ კანუტით ტურინის „იუვენტუსი" დაინტერესდა. ტურინელებს სევილიელი დავიდ ტრეზეგეს შემცვლელად შეუგულებიათ, რომელიც სეზონის ბოლოს წასვლას აპირებს. „იუვე" მზადაა, 18 მილიონი ევრო გადაიხადოს ფორვარდში, რომელსაც ტიერი ანრისთან მსგავსების გამო „ღარიბების ანრის" ეძახიან.

„კორიერე დელო სპორტის" ვერსიით კი, გამორიცხული არ არის, რომ „იუვენტუსმა" ინგლისურ „ლივერპულს" ტრეზეგეს სტივენ ჯერარდში გაცვლა შესთავაზოს.

## უპასუხებს ბელეტი ლივერპულს?

**ესპანური** „ბარსელონას" ბრაზილიელი მცველი ჟულიანო ბელეტი ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს. ბელეტიმ „ლივერპულთან" მატჩში დაიზიანა კოჭი და საეჭვოა, საპასუხო მატჩში ითამაშოს.

## სამბა, რუმბა, ჩა-ჩა-ჩა

**90 ათასი** ევროს დაქვითვით ემუქრებიან ვაგნერ ლავს, ცსკა-ს ფორვარდს, თუ დაუმტკიცეს, რომ ტრავმასთან დაკავშირებით ტყუილი თქვა. ვაგნერ ლავი ორი კვირის წინ წავიდა ბრაზილიაში სამკურნალოდ; ცსკა-ს ექიმები კი ეჭვობენ, რომ ფეხბურთელი იქ სამბას ფესტივალში გაერია და ცეკვა-თამაში გააჩაღა. ბრაზილიელი მოსკოვში გუშინ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ამაოდ ელოდნენ. რამდენიმე დღის წინ მას კლუბში დაურეკავს და უთქვამს, ტრავმა გაცილებით სერიოზულია და ცოტა ხანს დარჩენა კიდევ მომიწევსო. კლუბში კი კარგად იციან — ვაგნერის უფროსი და, ვანია ლავი პოპულარული მოცეკვავე და კარნავალის ვარსკვლავია. გაზაევის აზრით, ფეხბურთელი რიო დე ჟანეიროში დის საქომაგო დარჩა და ტრავმა მოგონილია.

90 ათასი ევრო ვაგნერ ლავის ერთი თვის ჯამაგირია.

## ვინ ვის უღალატა?

**იტალიური** „პარმას" ბელარუსი ფორვარდი ვიტალი კუტუზოვი ყოველთვიურად 12 ათას ევროს გადაუხდის შვილს, რომელიც მისმა ცოლმა გაყრის შემდეგ თან წაიყვანა. იულია კუტუზოვა შარშან გაზაფხულზე გასცილდა ქმარს და იტალიიდან მინსკში დაბრუნდა.

რუსული წყაროების ცნობით, გაყრის მიზეზი ისაა, რომ ფეხბურთელმა ცოლი ღალატში დაადანაშაულა. იულია კი საპირისპიროს ამტკიცებს, მეუღლემ მიღალატაო.

## რომაელი მზვერავები

**იტალიური** „რომას" სელექციონერებს მიუნხენის „ბაიერნის" მცველ დანიელ ვან ბუიტენის თამაში უნახავთ „სანტიაგო ბერნაბეუზე", სადაც „რეალმა" „ბაიერნს" 3:2 მოუგო. თურმე უკვე დიდი ხანია, რომაელები 29 წლის ბელგიელს აკვირდებიან და კრისტიან კივუს ან ფილიპ მექსეშის წასვლის შემთხვევაში, მის ყიდვას შეეცდებიან.

## მწერალი პეტრუშელა

**სანკტ პეტერბურგის** „ზენიტის" ყოფილმა მწვრთნელმა, ჩეხმა ვლასტიმილ პეტრჟელამ ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა.

„სათაური ჯერ არ მომიფიქრებია, თუმცა ის კი ვიცი, რომ პრეზენტაცია სანკტ პეტერბურგში იქნება" — განაცხადა პეტრჟელამ.

## რივალდომ ბრაზილია გადაიფიქრა

**რივალდოს** კიდევ ერთი სეზონით სურს ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" დარჩენა, სადაც 2004 წელს „მილანიდან" გადავიდა. რივალდო შარშან შემოდგომაზე ამბობდა, 2007 წელს ბრაზილიაში დავბრუნდები და კარიერას იქ დავასრულებო, მაგრამ გადაიფიქრა. 35 წლის ნახევარმცველმა ბერძნულ NETTV-ს განუცხადა: „მე და ჩემი ოჯახი აქ ბედნიერები ვართ. „ოლიმპიაკოსი" ძალიან შემიყვარდა და მოხარული ვიქნები, თუ კარიერას აქ დავამთავრებ".

„ოლიმპიაკოსი" ჩემპიონატში პირველ ადგილზეა, რივალდომ კი 22 მატჩში 13 გოლი გაიტანა.

## სუაზო გაძვირებულა

**იტალიური** „კალიარის" პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომ დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს, შესაძლოა, ფორვარდი დავიდ სუაზო გაყიდოს. ჰონდურსელი მეგოლე კარგ ფორმაშია და მისით „მილანია" დაინტერესებული. „მიხარია, რომ შარშან ზაფხულს სუაზო შევინარჩუნეთ, რადგან მისი ფასი ამჟამად ერთი-ორად გაიზარდა" — თქვა ჩელინომ. ჰონდურასელს კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს და „კალიარი" ფორვარდის სანაცვლოდ 15 მილიონ ევროს მოითხოვს.

## გრიგერა გაფორმებულია

**ამსტერდამის** „აიაქსის" ჩეხმა მცველმა ზდენეკ გრიგერამ ტურინის „იუვენტუსთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 1 ივლისიდან ოფიციალურად გახდება ამ კლუბის წევრი.

**ვაჟა ხუციშვილი**



## შვაინშტაიგერს რიგი დაუდგა

### აუხსენით სიყვარული გერმანიის იმედს

**მიუნხენის** „ბაიერნისა" და გერმანული ფეხბურთის იმედს ბასტიან შვაინშტაიგერს პირად ცხოვრებაში პრობლემები აქვს — ახლახან ბასტი 20 წლის დანიელას დაშორდა.

შვაინშტაიგერს ფსიქოლოგთა დახმარებაც დასჭირდა, თუმცა დანიელასთან გაყრამ ლამის ნახევარი გერმანიის დიაცთა გულები კი გაახარა — ფეხბურთელის პირადი ვებგვერდის სტუმართა წიგნი უკვე აივსო გერმანელ გოგონათა წერილებით, რომლებშიც ისინი ბასტიანს სიყვარულს ეფიცებიან და თავიანთ სურათებსაც უგზავნიან.

შვაინშტაიგერი გერმანიაში უზომოდ პოპულარულია და ამ ამბავმა „ბილდის" ყურადღებაც მიიქცია. ამ ტაბლოიდმა წამოიწყო აქცია, რამაც უკვე უდიდესი ინტერესი გამოიწვია — „ბილდი" გოგონებში კონკურსს ატარებს და იმას, ვინც ყველაზე მოხერხებულად აუხსნის სიყვარულს ბაიერნელს, სიურპრიზს ჰპირდება.

**ბაჩა ზალამბერიძე**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

## მერვედფინალი. პირველი მატჩები

ბარსელონა (ესპანეთი) 1:2 ლივერპული (ინგლისი)
1:0 დეკუ (14), 1:1 ბელამი (43), 1:2 რიისე (74)
ბარსელონა: ვალდესი, ბელეტი, მარკესი, პუიოლი, ძამბროტა, ხავი (ჟიული 65), მოტა (ინიესტა 64), დეკუ, მესი, რონალდინიო, სავიოლა (გუდიონსენი 82)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, რიისე, ფინანი, სისოკო (ზენდენი 84), ხაბი ალონსო, ჯერარდი, ბელამი (პენანტი 80), კუიტი (კრაუჩი 90)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ბელეტი, აგერი, ძამბროტა, კუიტი, სისოკო, ბელამი
მსაჯი: კ. ვასარასი (საბერძნეთი)
88 000 მაყურებელი



# მეგოლე მეგოლფე

## კრეიგ ბელამი: ბარსელონა? გინდ, ეშმაკი ყოფილიყო...

„კამპ ნოუზე" „ბარსელონას" ამკლებმა კრეიგ ბელამიმ თამაშის მერე „სანს" უთხრა, დღეს ჩემი შვილის დაბადების დღე იყო და „ბარსა" კი არა, თვით ეშმაკი რომ დამტაკებოდა, ამ ბედნიერ თარიღს წაგებით არ ჩავამწარებინებდიო.

კრეიგს აქამდე „ლივერპულის" ფეხბურთელად იცნობდნენ, ამიერიდან კი „მეგოლფე ჩემპიონად" მოიხსენიებენ. მედია კიდევ კარგა ხანს ილაპარაკებს ალგარვეს ცნობილ სკანდალზე — კატალონიელებთან მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ბელამი და იონ არნე რიისე პორტუგალიურ კურორტზე რომ გამოთვრნენ და უელსელმა ნორვეგიელს გოლფის ყვანჯი ურტყა ფეხებში.

ბარსელონურმა გაზეთებმა უმალ დაწერეს, „ლივერპულს" მონასტერი აერია, მოთამაშეები ლოთობენ, ერთმანეთს ეჩხუბებიან და ამათ ფრანკ რაიკარდის ბიჭებს რა წინააღმდეგობა უნდა გაუწიონო...

არადა, ოთხშაბათს „ბარსელონას" წაქცევა სწორედ ამ „ლოთების" კისერზეა. ვიქტორ ვალდესისა და რაფაელ მარკესის შეცდომებით მასპინძლებს ანგარიში უელსელმა „მეგოლფემ" გაუთანაბრა, ნორვეგიელმა კი გამარჯვებისა შეაგდო.

„ჩვენ შორის არანაირი უთანხმოება აღარ არსებობს. შევრიგდით, „ბარსაც" დავამარცხეთ და კიდევ ბევრი საქმის გაკეთებას ვაპირებთ" — განაცხადა შფოთისთავმა ბელამიმ.

რიისემ კი თქვა, „გოლფის სკანდალმა" ევროპული მასშტაბის ჩხუბისთავებად გვაქცია, მაგრამ შული უკვე დავივიწყეთ, რაც „ბარსასთან" შეხვედრაშიც გამოჩნდაო.

ინგლისში ამბობენ, ამ ბიჭებმა „ლივერპულს" ისეთი სასახელო საქმე გაუკეთეს, ეგებ რაფა ბენიტესი მოლბეს და ალგარვეს ჩხუბისთვის დაწესებული ფულადი ჯარიმები გააუქმოსო. ბელამის კი უნდა, არ უნდა, მაინც „მეგოლფის" სახელი ექნება — როცა ვალდესს თავური შეუგდო, სახალხოდ ყვანჯით ბურთზე დარტყმის იმიტაციაც გააკეთა.

გოლფი გოლფად და, „ლივერპულმა" 21 თებერვალს ფრანკ რაიკარდის გუნდს წაუგებელი სერია შეაწყვეტინა. რაც კატალონიელთა მწვრთნელად ჰოლანდიელი მივიდა, მის შემდეგ „ბარსას" „კამპ ნოუზე" საევროტურნირო მატჩში მარცხი არ ენახა. საერთო ჯამში ბარსელონელებს 17 წაუგებელი შინაური შერკინება მოუგროვდათ და „ლოთები" რომ არა, ლეგენდარული „დრიმ თიმის" რეკორდსაც მოხსნიდნენ.

შეგახსენებთ: „ბარსელონამ" „ლივერპულამდე" „კამპ ნოუზე" ბოლოს 2003 წლის 22 აპრილს ტურინის „იუვენტუსთან" წააგო.

კატალონიელი სტატისტიკოსები 1:2 დამარცხებით ფრიად შეშფოთებულნი არიან. საქმე ის გახლავთ, რომ „ბარსა" ევროტურნირებზე პირველი მატჩის ხსენებული ანგარიშით დათმობის შემდეგ მეორეში ტრადიციულად ვერაფერს ახერხებს.

თანმიმდევრობით მივყვეთ: პირველად „ბარსელონამ" 1:2 ბაზრობათა თასის მეთექვსმეტედფინალში „დანდი იუნაიტედთან" 1966-67-ის სეზონში წააგო, საპასუხო მატჩშიც დამარცხდა (0:2) და გათამაშებას გამოეთიშა.

1969-70-ში ისევ ბაზრობათა თასზე „ინტერთან" გავარდნენ (1:2, 1:1) და ბოლოს 1970-71 წლების სეზონში „იუვენტუსთან" წააგეს (1:2, 1:1) — ესეც ბაზრობათა თასზე მოხდა.

„როცა ანგარიში 1:0 იყო, ვიჩქარეთ და მეტოქეს მეორე გოლის გასატანად გავეშებულები მივცვივდით. ცოტა სული უნდა მოგვეთქვა და სიტუაცია დაგვეწყნარებინა. ზედმეტი სიჩქარის გამო დავისაჯეთ" — განაცხადა „ბარსას" პორტუგალიელმა ვარსკვლავმა დეკუმ „ელ მუნდო დეპორტივოსთან" საუბარში.

ავბედითი სტატისტიკის მიუხედავად, დეკუს თავისიანთა გამარჯვების იმედი აქვს: „ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. „ენფილზე" უნდა მოვიგოთ და მომდევნო ეტაპზეც ჩვენ გავალთ".

„ენფილდ როუდზე" „ბარსელონას" 2001 წლის 20 ნოემბრის სალიგო მატჩში 3:1 მოუგია. ასე რომ, „წითლებთან" გამარჯვების პრეცედენტი არსებობს, თუმცა, თუ ვიქტორ ვალდესმა ინგლისშიც ისე უსუსურად ითამაშა, როგორც „კამპ ნოუზე", მაშინ...

„ვაღიარებ, რამდენიმე უხეში შეცდომა დავუშვი. თუმცა „ლივერპულის" მოიერიშეებიც ძლიერად თამაშობდნენ, ასეთი ტიპის გუნდებთან თამაში ყოველთვის ძნელია" — აღნიშნა „ბარსელონას" მეკარემ. მისმა ლივერპულელმა კოლეგამ პეპე რეინამ კი განაცხადა, ხალხნი ვართ, შეცდომები ყველას მოგვდის და იმედია, კატალონიაში ვიქტორს იმ გოლების გამო ობსტრუქციას არ მოუწყობენო.

თამაშის შემდეგ ინგლისელ და კატალონიელ გულშემატკივართა შორის რაიმე სერიოზული დაპირისპირება არ მომხდარა. „კამპ ნოუზე" მატჩის მიწურულს მთვრალმა „წითლებმა" ადგილობრივებზე გაიწიეს, თუმცა საქმეში უმალ პოლიცია ჩაერთო და ინციდენტიც მოგვარდა. ეს კი არა, როცა ხალხი ქუჩაში გამოეფინა, ინგლისელებმა და მასპინძლებმა ლუდი ერთად დააგემოვნეს...

ლადო ხომერიკი

# ფრანკ რაიკარდი: ბარსა ვართ და 90 გვაქვს

— როგორ განწყობაზე ხართ?

— ცხადია, თავს ბედნიერად არ ვგრძნობ. „ლივერპულთან" თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ როცა ინგლისელებმა ანგარიში გაათანაბრეს, სიტუაცია მათ სასარგებლოდ შეიცვალა.

— წაგებას რას მიაწერთ?

— როგორც გითხარით, კარგად დავიწყეთ, მაგრამ პირველი 25 წუთის შემდეგ სიფრთხილის გრძნობა დავკარგეთ. იქნებ უკეთესი ყოფილიყო, ანგარიშის შენარჩუნებაზე გვეზრუნა. „ლივერპულის" გოლმა მოტივაცია დაგვიკარგა და მას შემდეგ თამაში ველარ ავაწყეთ. დასაწყისის მიხედვით კი ისე ჩანდა, რომ „ბარსელონას" ეს მატჩი უნდა მოეგო.

— მიუხედავად ამისა, ჯერ არაფერია დაკარგული...

— რთული სიტუაციაა, მაგრამ მოგების იმედი გვაქვს. ჩვენ „ბარსელონა" გვქვია და მეოთხედფინალში გასვლის შანსი გვაქვს — წინ მთელი 90 წუთია.

— და ოპტიმისტად რჩებით?

— როცა ოპტიმისტი ხარ, ცხოვრებისეულ პრობლემებს უფრო იოლად უსწორდები. უნდა ვაღიაროთ, რომ მერვედფინალის მეორე მატჩი პირველზე ძნელი იქნება — „ლივერპულმა" „კამპ ნოუს" რაუნდი მოგვიგო, ამიტომაც მათ უპირატესობა აქვთ. „ბარსას" კი შეტევის გარდა არაფერი დარჩენია. ჩვენი შესაძლებლობებისა უნდა გვჯეროდეს.



AFP



AFP

# რაფაელ ბენიტესი: სცენარი ჩვენ დავწერეთ

— ელოდით აქ მოგებას?

— ჩვენს გეგმებში „ბარსას" სწრაფი გოლი არ შედიოდა. ისე კი, 3:1 მოგებაც შეგვეძლო, რაც პრაქტიკულად გადაწყვეტდა მერვედფინალის ბედს. ახლა შინ ბევრი ოფლის ღვრა მოგვიწევს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეტოქე „ბარსაა".

— ეს მატჩი თქვენი სცენარით წარიმართა?

— ცალკეული ეპიზოდების გარდა, ასეა. რონალდინიოს და მესის დაკეტვა შევძელით და კონტრშეტევებიც გამოგვივიდა. მეორე ტაიმში უპირატესობა უკვე ჩვენი იყო.

— „ლივერპულმა" ამოცანა პირველივე შეხვედრაში გადაწყვიტა?

— ფრთხილად უნდა ვიყოთ. „ლივერპულის" მოწინააღმდეგე ხომ ძალიან სახიფათო „ბარსელონაა"...

— „ბარსა" ჩემპიონთა ლიგის ფავორიტი აღარ არის?

— მაინც ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. მცირედი უპირატესობა კი გვაქვს, თუმცა „ბარსელონა" კონტრიერიშებზე შესანიშნავად თამაშობს და ბევრი გოლი გააქვს...

— „ლივერპულის" ესპანელ ფეხბურთელებზე რას იტყვით?

— ისინი გუნდს და ინგლისურ გარემოს კარგად შეეგუნენ.

— „მეგოლფეებზეც" ვთქვათ: ალგარვეს ინციდენტის შემდეგ ბელამის და რიისეს როგორი ურთიერთობა აქვთ?

— ისინი შერიგდნენ, რაც „ბარსელონასთან" მატჩშიც დაამტკიცეს. გუნდში მეგობრული ატმოსფეროა.

# ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
## მერვედფინალი. პირველი მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟერარ ულიემ სიცილით იანგარიშა

**რომა (იტალია) 0:0 ლიონი (საფრანგეთი)**
რომა: დონი, პანუჩი, მექსეში, ფერარი, ტონეტო, დ. პიზარო, მანსინი (ვილჰელმსონი 76), პეროტა, დე როსი, ტადეი (ვუჩინიჩი 86), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ლიონი: კუპე, კლერი, კრისი, სკილაჩი, აბიდალი, ტულალანი, ტიაგუ, ჟუნინიო, მალუდა, გოვუ, ფრედი (ბაროში 74)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: მექსეში, პანუჩი, ჟუნინიო, პიზარო, მანსინი, გოვუ, ტულალანი, ტადეი, ტოტი, ტონეტო, დე როსი
მსაჯი: მ. რაილი (ინგლისი)
55 000 მაყურებელი

**„რომამ“** 8:3 მოიგო — ღიმილით უპასუხა „ლიონის“ მწვრთნელმა ჟერარ ულიემ ჟურნალისტს, როცა მსაჯობაზე ჰკითხეს.

ინგლისელმა არბიტრმა მაიკ რაილიმ ჩემპიონთა ლიგაში ყვითელი ბარათების ამოღების რეკორდი გაიმეორა — 11-ჯერ ჩაიყო ჯიბეში ხელი. რვაჯერ რომაელები გააფრთხილა, სამჯერ კი — ლიონელები.

„რასაკვირველია, მოგება მერჩივნა, მაგრამ „ოლიმპიკოზე“ ფრითაც კმაყოფილი ვარ. ეს მხოლოდ პირველი მატჩი იყო. საპასუხო შეხვედრაში ალბათ მცირე უპირატესობა გვექნება, რაკი ქარიმ ბენზემა, ალიუ დიარა და სილვენ ვილტორდი იმ დროისთვის გამოკეთდებიან. ჩემმა გუნდმა კარგად ითამაშა და სასაყვედურო არაფერი მაქვს“ — აღნიშნა ფრანგმა მწვრთნელმა.

ლიონელთა ბრაზილიელ ჟუნინიოს შეხვედრის დასაწყისში ორჯერ შემოარტყეს ფეხებში და გაბრაზებულმა მეტოქეს რამდენიმე წუთში ხურდა დაუბრუნა, რისთვისაც გააფრთხილეს.

„მსაჯი ცოტა აჭრილი იყო და წარამარა ყვითელ ბარათს ებებდა — თქვა ჟუნინიომ — საწყენია, რომ გოლი ვერ გავიტანეთ, მაგრამ არც ეს შედეგია ურიგო ჩვენთვის, რადგან „რომამაც“ საკმაოდ კარგად ითამაშა. კიდევ, მოედანი მომეწონა, რომელიც ზამთრის კვალობაზე გაცილებით უკეთესია, ვიდრე საფრანგეთში. თავიდანვე ამოვკეტეთ დანიელე დე როსი და ამან ცოტა დააბნია მეტოქე, თუმც მეორე ტაიმში მაინც შეძლეს თამაშის გამოსწორება“.

ჟუნინიოს კი მოეწონა ხასხასა ბალახი, მაგრამ „რომას“ მწვრთნელმა პირიქით, ნაწვიმარ მოედანზე დაიჩივლა: „ჩემს გუნდში ბევრი სწრაფი ფეხბურთელია და სველმა ბალახმა მათ პრობლემები შეუქმნა — ჩვეულ მაღალ ტემპში ვერ ითამაშეს. „ლიონი“ კი ფიზიკურად ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა. ხეირს კონტრშეტევებზე ვეძებდით, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ღია, ლაღი ფეხბურთი იყო, საგოლე მომენტები ცოტა შეიქმნა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ არ გვინდოდა, გოლი გაგვეშვა. მართალია, საპასუხო მატჩში „ლიონს“ უამრავი ქომაგი დაუჭერს მხარს, მაგრამ არა მგონია, მერვედფინალში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. რაც შეეხება მსაჯს, მან თავის საქმეს კარგად გაართვა თავი“.

ამანტინო მანსინიმ კი, ვინც ერთი კარგი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, ტრავმაზე დაიწუწუნა: „მთელი თამაშის განმავლობაში კუნთის ტკივილი მაწუხებდა. და ამას გამო ვერ ვითამაშე ისე, როგორც მსურდა, მაგრამ არც ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის გამოტოვება მინდოდა. „ლიონის“ დაცვამ კარგად ითამაშა და ამიტომ გაგვიჭირდა შეტევაში. საწყის ოც წუთში ცოტა ვნერვიულობდით კიდეც, რაკი ბევრი ჩვენგანი ასეთი დონის მატჩში პირველად თამაშობდა. ახლა უკვე გადავლახეთ ფსიქოლოგიური ბარიერი და ვინ იცის, ეგებ ლიონში უკეთ გამოგვივიდეს. ისინი ხომ შემოგვიტევენ, ჩვენ კი კონტრიერიშების გუნდი ვართ“.

**ვაჟა ხუციშვილი**



ზლატან იბრაჰიმოვიჩის „ინტერი“ ვალენსიელებმა დაამუხრუჭეს

AFP

# რა თქვა ვუიადინ ბოშკოვმა?
## ადრიანო ისე დამთვრალა, ვეღარ ამდგარა

**ინტერი (იტალია) 2:2 ვალენსია (ესპანეთი)**
1:0 კამბიასო (29), 1:1 ვილია (64), 2:1 მაიკონი (76), 2:2 სილვა (86)
ინტერი: ჟულიო სეზარი, ი. კორდობა, ხ. ძანეტი, ბურდისო, მატერაცი, მაიკონი, კამბიასო (დაკური 31), სტანკოვიჩი, ფიგუ (სოლარი 89), კრესპო (კრუზი 68), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, მარჩენა, მორეტი, ალბელდა, ალბიოლი, სილვა (ხორხე ლოპესი 90), ანგულო (ხოაკინი 83), მორიენტესი (ვიანა 76), ვილია
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
გაფრთხილება: ალბელდა, მარჩენა, ბურდისო, ძანეტი
მსაჯი: მ. ჰანსონი (შვედეთი)
22 608 მაყურებელი

**ნაბახუსევი** იყო და ამიტომ არ ათამაშესო — ასეთი ხმები დადიოდა ადრიანოზე, რომელიც „ვალენსიასთან“ მატჩში სათადარიგოთა სკამზე ბრძანდებოდა. ბრაზილიელი ფორვარდი 17 თებერვალს 25 წლის გამხდარა და პარასკევს აქეთ ჭიქა არ გაუგდია ხელიდან.

მილანელთა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ კი დიპლომატიურად განაცხადა ნამატჩევს: „ადრიანო ასი პროცენტით მზად არ გახლდათ და ამიტომ დავტოვე სათადარიგოებში“.

რაც შეეხება თამაშს, მწვრთნელმა ვალენსიელთა გარჯა დააკნინა: „მათ სულ ორი-სამი მომენტი შექმნეს მეორე ტაიმში და მთლიანობაშიც ვერ იყვნენ სახიფათონი. ეს უსამართლო შედეგია და მგონია, რომ ფრეს არ იმსახურებდნენ. მიუხედავად ამისა, როგორც ვუიადინ ბოშკოვი იტყოდა (მანჩინის ყოფილი მწვრთნელი „სამპდორიაში“), წაგებას ფრე სჯობს. ვიცი ჩემი გუნდის შესაძლებლობა და მჯერა, „მესტალიაზე“, სადაც ადრეც მოგვიგია, სასურველ შედეგს მივაღწევთ“.

ანგარიში ესტებან კამბიასომ გახსნა, რომელიც გოლიდან ორ წუთში დაშავდა და მის ნაცვლად ოლივიე დაკური შევიდა.

„კამბიასოს ტრავმის შემდეგ 4-4-2-ზე გადავეწყვეთ და ნაცადი ტაქტიკით ვითამაშეთ. გამარჯვებას ნაღდად ვიმსახურებდით და 2:1-ზე მესამეც უნდა გაგვეტანა, როცა „ვალენსიამ“ არაფრისგან შექმნა გოლი. „მესტალიაზე“ უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე შარშან „ვილიარეალთან“ — აღნიშნა მანჩინიმ.

შეგახსენებთ, რომ შარშან მერვედფინალში „ინტერმა“ შინ 2:1 მოუგო „ვილიარეალს“, სტუმრად კი 0:1 დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა.

ხავიერ ძანეტის აზრით, „ინტერმა“ იმიტომ ვერ მოიგო, რომ:

„1:0-ზე მეორე ტაიმის დაწყებისთანავე უნდა შეგვეტია და მეორესთვის გვეზრუნა, ჩვენ კი ბურთი უკან-უკან ვაგორეთ“.

ლუიშ ფიგუ: „კარგად ვითამაშეთ, მაგრამ იღბალმა გვიგანა. „მესტალიაზე“ გამოჩნდება, ვართ თუ არა „ვალენსიაზე“ ძლიერები“.

ვალენსიელთა მწვრთნელმა კიკე ფლორესმა კი ბიჭებს უთხრა, გაიხარეთ, ამ შედეგით უნდა იამაყოთო...

„ხუმრობა საქმე ხომ არაა, „ინტერს“ სტუმრად ორჯერ გაუთანაბრო. 2:2 იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კვლავ ცოცხლები ვართ და მეტოქეზე უკეთესი შანსი გვაქვს, რათა მერვედფინალში გავიდეთ. თუმც „ინტერი“ შინაც კარგად თამაშობს და სტუმრადაც. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ გუნდმა სერია A-ში მიჯრით 16 შეხვედრა მოიგო, ჩვენ კი არ გავტყდით, როცა ისინი ორჯერ დაწინაურდნენ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩელსის თვალზე ცრემლს ვერ ნახავთ



ანდრეი შევჩენკომ ჟოზე მაურინიუს სულ ტკბილ-ტკბილი ათქმევინა

AFP

**პორტუ (პორტუგალია) 1:1 ჩელსი (ინგლისი)**
1:0 მეირელეში (12), 1:1 შევჩენკო (16)
პორტუ: ელტონი, პეპე, პ. ასუნსაო, ბ. ალვეში, პოსტიგა (ადრიანუ 77), ლიპესი, ბოსინგვა, ფუსილე (ბ. მორაეში 65), ლ. გონსალესი, კვარესმა, მეირელეში (მ. ჩეხი 56)
მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა
ჩელსი: პ. ჩეხი, რ. კარვალიუ, ტერი (რობენი 13; მიკელი 46), ბრიჯი, ესიენი, მაკელელე, ლამპარდი, ლ. დიარა, ბალაკი, დროგბა, შევჩენკო (ს. კალუ 88)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: მაკელელე, ესიენი, პ. ჩეხი, ბალაკი, პეპე
მსაჯი: მ. ბუსაკა (შვეიცარია)
49 000 მაყურებელი

**სულ** ია-ვარდი ამოსდიოდა პირიდან ჟოზე მაურინიუს, როცა ნამატჩევს ანდრეი შევჩენკოზე ლაპარაკობდა: „ბრწყინვალე იყო, გადასარევად ითამაშა და უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა. მთლიანობაშიც ძალიან სასარგებლო გახლდათ და, როგორც ჩანს, ნელნელა ეწერება გუნდში“.

უკრაინელი ფორვარდისთვის ეს 58-ე გოლია ჩემპიონთა ლიგაში, ამდენივე აქვს რაულსაც, რომელმაც „ბაიერნთან“ დუბლი შეასრულა.

„ჩელსის“ არ გაუმართლა, რადგან ამას წინათ მომჯობინებული ჯონ ტერი შეხვედრის დასაწყისშივე დაშავდა, კოჭი იტკინა და კვირას ლიგის თასის ფინალში „არსენალთან“ ვერ ითამაშებს.

სწორედ მაშინ, როცა „ჩელსის“ კაპიტანმა ტრავმა მიიღო, „პორტუმ“ ანგარიში გახსნა, მაგრამ ანდრეი შევჩენკომ ოთხ წუთში გაათანაბრა. მაურინიუმ კი უკრაინელის გოლამდე ტერის ნაცვლად არიენ რობენი შეუშვა: „რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით, რადგან თამაშის დასაწყისშივე მთავარი მცველი დავკარგეთ და სათადარიგოებში მისი შემცვლელი არ მყავდა. ჯონ ობი მიკელის შეყვანა მსურდა, მაგრამ ვაგებდით, შემტევი რობენი შევუშვი და ამან გაამართლა“.

ჰოლანდიელიც უიღბლო აღმოჩნდა, რადგან ტაიმის მიწურულს კუნთი დაეჭიმა და ისიც შესაცვლელი გახდა. ამჯერად კი მაურინიუმ უკვე მიკელს უხმო.

„რობენის ტრავმა უფრო იმითაა გამოწვეული, რომ გაუხურებლად მოუწია მოედანზე შესვლამ, მაგრამ კვირას ლიგის თასის ფინალში ალბათ ითამაშებს. ერთ ტაიმში ორი ფეხბურთელის ტრავმის გამო ტაქტიკა კვლავ შევცვალე. ჩვენ პრაგმატული გუნდი ვართ. ვიცით, როგორ დავიცვათ თავი და შევინარჩუნოთ შედეგი. საუცხოო იყო მიკაელ ესიენი, რომელიც ამჟამად დანარჩენებზე უკეთეს ფორმაშია და რამდენიმე პოზიციაზე თანაბრად კარგად თამაში შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ გზადაგზა ფეხბურთელები გვაკლდებიან, ოთხ ტურნირში ვმონაწილეობთ და არ ვტირით“.

„პორტუს“ მწვრთნელი ჟესუალდო ფერეირა კი იმედიანადაა: „პირველ ტაიმში ჩემი გუნდი აშკარად სჯობდა მეტოქეს, თუმც შევჩენკოს გოლმა იმათ თავდაჯერებულობა შემატა. დარწმუნებული ვარ, საპასუხო მატჩში რთული თამაში გველის, მაგრამ „ჩელსიმაც“ უნდა იცოდეს, რომ „სტემფორდ ბრიჯზე“ იოლად ვერ დაგვჯაბნის“.

**ვაჟა ხუციშვილი**



AFP

„რეალ" — „ბაიერნის" მატჩის მიწურულს მადრიდელთა კარში მეორე გოლის გატანით მარკ ვან ბომელმა მიუნხენელებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი გაუჩინა.
გეცოდინებათ, ჰოლანდიელმა ეს ყველაფერი ძალიან ემოციურად და უხამსი ჟესტით აღნიშნა, რამაც დიდი ხმაური გამოიწვია. თუმცა თავად ექსბარსელონელს ჰგონია, რომ განსაკუთრებულად უცენზურო არაფერი გაუკეთებია და რეალელებს პროვოკაციაში ადანაშაულებს...

# ერთიც, მეორეც და მესამეც
## ...იმიტომ, რომ მეზიზღება რეალი!

— გილოცავთ ფანტასტიკურ გოლს. ყველაფერი ძალიან ზუსტად გააკეთეთ...

— ჩვეულებრივი ეპიზოდი იყო. ჩემ სიახლოვეს არავინ იდგა და ბურთის გაჩერების დროც მქონდა, მერე კი კარს კარგად დავუმიზნე და ყველაფერი ზუსტად გამოვიდა.

— გოლი, ცოტა არ იყოს, უცნაურად აღნიშნეთ — „რეალის" ქომაგებს არცთუ კულტურული ჟესტი უჩვენეთ. გაგიმართლათ, რომ ეს მსაჯმა ვერ დაინახა და ყვითელ ბარათსაც გადაურჩით...

— ასე არ ვიტყოდი, ჩემი საქციელი არც ისე უხამსი იყო — ასეთი ქცევები დევიდ ბექჰემის სტილია. „რეალის" ქომაგების შეურაცხყოფა წუთითაც არ გამიფიქრებია. უბრალოდ, ემოციები ვერ მოვთოკე. არაფერი ისეთი უცენზურო არ ჩამიდენია და ყვითელი ბარათიც არ მეკუთვნოდა.

— თუმცა „რეალი" არ გიყვართ...

— ამას არც უარვყოფ — მადრიდელებისადმი სიმპათია არ მაქვს. ეს ძალიან პრინციპული მატჩი იყო და, თავადაც ხვდებით, 3:1-სა და 3:2-ს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. სწორედ ამიტომ ვიყავი ასეთი ემოციური. თანაც მატჩის მსვლელობისას ჩვენ შორის სხვადასხვა სახის ორთაბრძოლები მიდიოდა, რომელიც ფეხბურთის ფარგლებს სცილდებოდა. ასე რომ, ერთმანეთის მეგობრები ნამდვილად არ ვართ.

— მაინც რა ხდებოდა — უხეში თამაში, პროვოკაციები თუ სხვა რამ?

— ერთიც, მეორეც და მესამეც. თუმცა ახლა ამაზე საუბარი არ მინდა — უკვე ჩავლილი ამბავია.

— 24 წუთში სამი გოლი გაუშვით. რა არის დაცვის ასეთი ჩავარდნის მიზეზი?

— ეს მონაკვეთი მართლაც ძალიან ცუდად ჩავატარეთ და სულელური გოლები გავუშვით. პირველი გოლისას ოლივერ კანმა თითქმის გვიხსნა, მაგრამ რიკოშეტით ბურთი ისევ რაულს მიუვიდა. მეორე გოლს შეცდომების მთელი კასკადი ახლდა. „რეალს" ბედმა გაუღიმა მესამე გოლისასაც, რიკოშეტმა კანი დააბნია, ბურთი კი რუუდ ვან ნისტელროის მიუვიდა...

— მეორე ტაიმში სულ სხვანაირად ათამაშდით. ასეთი რა შეცვალეთ?

— შესვენებაზე მწვრთნელისგან მკაცრი დარიგებები მივიღეთ და უკეთაც ავთამაშდით. შეტევაში წავედით, უპირატესობას დავეუფლეთ და გოლის გატანაც შევძელით.

— და თავიდანვე ასე რატომ არ ითამაშეთ?

— ალბათ, უცებ გაშვებულმა სულელურმა გოლებმა აგვრია და მეორე ტაიმამდე გონს ვერ მოვედით.

— „რეალმა" მოგება დაიმსახურა?

— ვფიქრობ, არა. სულ მცირე, ფრის მიღწევა შეგვეძლო. მარტო პიზაროს ორი ბრწყინვალე მომენტი ჰქონდა. გარდა ამისა, როგორც ვთქვი, ალოგიკური გოლები გავუშვით. ასე რომ, შედეგი სამართლიანი არ არის.

— „ბაიერნში" ოტმარ ჰიცფელდი მოვიდა, მაგრამ გუნდის თამაში არ გაუმჯობესებულა...

— ყველაფერს დრო სჭირდება...

— როგორია „ბაიერნის" შანსები ბუნდესლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში?

— გერმანიის ჩემპიონატში გაგვიჭირდება პირველობისთვის ბრძოლა. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ცოტა ბედმაც თუ გაგვიღიმა, მოგება შეგვიძლია.

# წავაგოთ და გაგვიხარდეს
## გუტისთვის ბაიერნი ბარსელონაა

ხოსე მარია გუტიერესმა „რეალ" — „ბაიერნის" მატჩი სრულად და საკმაოდ კარგადაც ჩაატარა: გამოცდილმა ნახევარმცველმა მადრიდელთა გამარჯვებაში თავისი არცთუ უმნიშვნელო წვლილი შეიტანა. გუტის თქმით, მიუნხენური კლუბი „რეალისთვის" ევროპაში ისეთივე პრინციპული მეტოქეა, როგორც ესპანეთში „ბარსელონა"...

— რას იტყვით მატჩზე?

— რა გითხრათ... ვფიქრობ, ქომაგები კმაყოფილნი დარჩნენ.

— 24 წუთში სამი გოლი გაიტანეთ, მაგრამ ბოლო ერთ საათში მეტოქის კარში მხოლოდ ორჯერ დაარტყით...

— ორბურთიანი სხვაობა ხელს გვაძლევდა და ანგარიშის შენარჩუნებაზე დავიწყეთ თამაში, ხოლო როცა „ბაიერნმა" მეორე გოლი გაგვიტანა, ვითარების გამოსასწორებლად დრო, ფაქტობრივად, აღარ იყო.

— და ვინ არის ამაში „დამნაშავე"? „ბაიერნი" ათამაშდა უკეთ თუ „რეალი" უარესად?

— უბრალოდ, ორივე გუნდმა შეცვალა ტაქტიკა. ჩვენ 3:1-ზე თანახმანი ვიყავით და ვცდილობდით, კონტრიერიშებით გავსულიყავით ფონს, მეტოქე კი იძულებული იყო, შემოეტია.

— არადა, კონტრშეტევების არც ისე ბევრი შანსი გქონდათ...

— მე ასე არ ვთვლი. ბექემს რომ ჯარიმა გაეტანა ან იგუაინი ცოტა უფრო სწრაფად გაქცეულიყო და კანისთვის არ გაერტყა ბურთი, ანგარიში 4:1 იქნებოდა, რაც, ფაქტობრივად, მეოთხედფინალში გაგვიყვანდა.

— როგორ დაგარიგათ ფაბიო კაპელომ?

— გაგვაფრთხილა, რომ „ბაიერნს" ძალიან სახიფათო ფორვარდები ჰყავს. მაკაის ჯერ კიდევ „დეპორტივოში" თამაშისას აქვს ჩვენთვის გოლები გატანილი, ხოლო პოდოლსკი ახლა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიული თავდამსხმელია. ყოველთვის მწვავედ თამაშობს პიზაროც, რაც ამ მატჩშიც დაამტკიცა, როცა ორი საგოლე მომენტი, ფაქტობრივად, არაფრისგან შექმნა.

— საბოლოოდ გოლები მათგან გაუშვით, ვისგანაც არ ელოდით?

— ასე გამოვიდა, ერთი მცველმა გაგვიტანა, მეორე კი ნახევარმცველმა. ეს ნიშნავს, რომ დაცვაში თამაში გამოსასწორებელი გვაქვს.

— თავდამსხმაზე რას იტყვით?

— „ბაიერნს", რომელიც დაცვის სიძლიერით ყოველთვის ძლიერი იყო და თან ასეთი მაღალი კლასის მეკარე ჰყავს, სამი გოლი გავუტანეთ. ასე რომ, თავდასხმაში ყველაფერი ნორმალურადაა.

— „რეალისა" და „ბაიერნის" ძველი დაპირისპირებები გახსოვთ?

— რა თქმა უნდა. მიუნხენელები ჩვენთვის პრინციპული მეტოქეები არიან, ისეთივე, როგორიც პრიმერადივიზიონში „ბარსელონაა".

— რა შედეგზე ითამაშებთ მიუნხენში?

— ნებისმიერზე, რომელიც მომდევნო ეტაპზე გაგვიყვანს.

— ანუ არ უნდა წააგოთ...

— რატომ?! შეგვიძლია, 3:4 ან 4:5 წავაგოთ. არა მგონია, ამის წინააღმდეგი რომელიმე ჩვენგანი იყოს. მთავარია, მეოთხედფინალში გავიდეთ.



# არიგო საკიმ რეალი უარყო



**მადრიდის** „რეალის" ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა არიგო საკიმ იტალიურ რადიოსთან ინტერვიუში თქვა, ბოლო დროს „სამეფო გუნდში" დაბრუნება რამდენჯერმე შემომთავაზეს, თუმცა მე უარი ვთქვი, რადგან ამ კლუბის წარმატებისა აღარ მჯერაო.

— „რეალში" დაბრუნება მთხოვეს, მე კი ვიუარე. ამ გუნდით წარმატების მიღწევა ძალიან ძნელია. ცნობილ ტელესერიალს თუ შევადარებთ, „რეალში" გამარჯვება იგივეა, რაც „შეუსრულებელი მისია 4" — თქვა სახელგანთქმულმა იტალიელმა სპეციალისტმა.

საკის „რეალის" დღევანდელი თავკაცის სამწვრთნელო სტილი არ მოსწონს.

| 10255 | ბორდო-ვალენსიენი | 1.95 | 2.00 | 5.80 | 1.00 | 1.45 | 1.48 |
| 10256 | ლანსი-ნანსი | 2.25 | 2.00 | 5.10 | 1.05 | 1.56 | 1.43 |
| 10258 | პსჟ-სტ-ეტიენი | 2.45 | 1.90 | 4.50 | 1.07 | 1.58 | 1.33 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | ფულემი-მანჩესტერი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.90 |
| 11006 | ჩარლტონი-ვესტ ჰემი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11007 | ლივერპული-შეფილდი | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11011 | მიდლსბრო-რედინგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11012 | უოტფორდი-ევერტონი | 4.20 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11013 | უიგანი-ნიუკასლი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11014 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11015 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11118 | შტუტგარტი-ჰერტა | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11119 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.80 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11121 | ბოხუმი-ალემანია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11122 | კოტბუსი -არმინია | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11123 | ჰამბურგი-აინტრახტი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11124 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11125 | მაინცი-ნიურნბერგი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11126 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 5.50 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.80 |
| 11128 | შალკე-ლევერკუზენი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11179 | კიევო-ტორინო | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11180 | ატალანტა-პალერმო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11181 | კალიარი-ლაციო | 3.90 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.70 |
| 11182 | კატანია-ინტერი | 13.00 | 13.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.65 |
| 11184 | ლივორნო-ასკოლი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11185 | მესინა-სიენა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11186 | მილანი-სამპდორია | 1.80 | 15.00 | 25.00 | 3.50 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11188 | რომა-რეჯინა | 1.80 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11190 | უდინეზე-პარმა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.50 |
| 11191 | ფიორენტინა-ემპოლი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.50 |
| 11222 | ატლეტიკო-რეალი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11224 | ბარსელონა-ბილბაო | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11226 | ბეტისი-უელვა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11227 | სელტა-რასინგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11228 | ხეტაფე-სევილია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11230 | ტარაგონა-ვალენსია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11232 | ლევანტე-სარაგოსა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11233 | ოსასუნა-ესპანიოლი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11234 | სოსიედადი-დეპორტივო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11235 | ვილიარეალი-მალიორკა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11247 | ტულუზი-მარსელი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11248 | ლე მანი-მონაკო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11249 | ლიონი-სოშო | 1.75 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11251 | ნანტი-ოსერი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11252 | ნიცა-ლილი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11253 | რენი-სედანი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11254 | ტრუა-ლორიანი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11255 | ბორდო-ვალენსიენი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11256 | ლანსი-ნანსი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11258 | პსჟ-სტ-ეტიენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12002 | ფულემი-მანჩესტერი | 1.90 | 1.70 |
| 12006 | ჩარლტონი-ვესტ ჰემი | 1.60 | 2.00 |
| 12007 | ლივერპული-შეფილდი | 1.90 | 1.70 |
| 12011 | მიდლსბრო-რედინგი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | უოტფორდი-ევერტონი | 1.60 | 2.00 |
| 12013 | უიგანი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12014 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12015 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12118 | შტუტგარტი-ჰერტა | 1.90 | 1.70 |
| 12119 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12121 | ბოხუმი-ალემანია | 1.90 | 1.70 |
| 12122 | კოტბუსი -არმინია | 1.70 | 1.90 |
| 12123 | ჰამბურგი-აინტრახტი | 1.90 | 1.70 |
| 12124 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 12125 | მაინცი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 12126 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 1.90 | 1.70 |
| 12128 | შალკე-ლევერკუზენი | 1.90 | 1.70 |
| 12179 | კიევო-ტორინო | 1.60 | 2.00 |
| 12180 | ატალანტა-პალერმო | 1.60 | 2.00 |
| 12181 | კალიარი-ლაციო | 1.60 | 2.00 |
| 12182 | კატანია-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 12184 | ლივორნო-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 12185 | მესინა-სიენა | 1.60 | 2.00 |
| 12186 | მილანი-სამპდორია | 1.90 | 1.70 |
| 12188 | რომა-რეჯინა | 1.90 | 1.70 |
| 12190 | უდინეზე-პარმა | 1.60 | 2.00 |
| 12191 | ფიორენტინა-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 12222 | ატლეტიკო-რეალი | 1.60 | 2.00 |
| 12224 | ბარსელონა-ბილბაო | 1.90 | 1.70 |
| 12226 | ბეტისი-უელვა | 1.60 | 2.00 |
| 12227 | სელტა-რასინგი | 1.60 | 2.00 |
| 12228 | ხეტაფე-სევილია | 1.60 | 2.00 |
| 12230 | ტარაგონა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12232 | ლევანტე-სარაგოსა | 1.60 | 2.00 |
| 12233 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 12234 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.60 | 2.00 |
| 12235 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.60 | 2.00 |
| 12247 | ტულუზი-მარსელი | 1.55 | 2.10 |
| 12248 | ლე მანი-მონაკო | 1.55 | 2.10 |
| 12249 | ლიონი-სოშო | 1.70 | 1.90 |
| 12251 | ნანტი-ოსერი | 1.55 | 2.10 |
| 12252 | ნიცა-ლილი | 1.55 | 2.10 |
| 12253 | რენი-სედანი | 1.60 | 2.00 |
| 12254 | ტრუა-ლორიანი | 1.55 | 2.10 |
| 12255 | ბორდო-ვალენსიენი | 1.60 | 2.00 |
| 12256 | ლანსი-ნანსი | 1.60 | 2.00 |
| 12258 | პსჟ-სტ-ეტიენი | 1.55 | 2.10 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | ფულემი-მანჩესტერი | 1.90 | 1.70 |
| 13006 | ჩარლტონი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ლივერპული-შეფილდი | 2.00 | 1.60 |
| 13011 | მიდლსბრო-რედინგი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | უოტფორდი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13013 | უიგანი-ნიუკასლი | 1.60 | 2.00 |
| 13014 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13015 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13118 | შტუტგარტი-ჰერტა | 1.60 | 2.00 |
| 13119 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13121 | ბოხუმი-ალემანია | 1.60 | 2.00 |
| 13122 | კოტბუსი -არმინია | 1.60 | 2.00 |
| 13123 | ჰამბურგი-აინტრახტი | 1.60 | 2.00 |
| 13124 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13125 | მაინცი-ნიურნბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13126 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 1.55 | 2.10 |
| 13128 | შალკე-ლევერკუზენი | 1.55 | 2.10 |
| 13179 | კიევო-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 13180 | ატალანტა-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13181 | კალიარი-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13182 | კატანია-ინტერი | 2.10 | 1.50 |
| 13184 | ლივორნო-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13185 | მესინა-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13186 | მილანი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13188 | რომა-რეჯინა | 1.90 | 1.70 |
| 13190 | უდინეზე-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13191 | ფიორენტინა-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13222 | ატლეტიკო-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13224 | ბარსელონა-ბილბაო | 1.90 | 1.70 |
| 13226 | ბეტისი-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 13227 | სელტა-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13228 | ხეტაფე-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13230 | ტარაგონა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13232 | ლევანტე-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 13233 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13234 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13235 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13247 | ტულუზი-მარსელი | 1.90 | 1.70 |
| 13248 | ლე მანი-მონაკო | 1.90 | 1.70 |
| 13249 | ლიონი-სოშო | 1.90 | 1.70 |
| 13251 | ნანტი-ოსერი | 1.90 | 1.70 |
| 13252 | ნიცა-ლილი | 1.90 | 1.70 |
| 13253 | რენი-სედანი | 1.90 | 1.70 |
| 13254 | ტრუა-ლორიანი | 1.90 | 1.70 |
| 13255 | ბორდო-ვალენსიენი | 1.90 | 1.70 |
| 13256 | ლანსი-ნანსი | 1.90 | 1.70 |
| 13258 | პსჟ-სტ-ეტიენი | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ფულემი-მანჩესტერი | 2.50 | 1.28 |
| 14006 | ჩარლტონი-ვესტ ჰემი | 1.80 | 2.00 |
| 14007 | ლივერპული-შეფილდი | 1.06 | 2.90 |
| 14011 | მიდლსბრო-რედინგი | 1.75 | 2.10 |
| 14012 | უოტფორდი-ევერტონი | 2.00 | 1.80 |
| 14013 | უიგანი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 14014 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1.75 | 2.10 |
| 14015 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1.75 | 2.10 |
| 14118 | შტუტგარტი-ჰერტა | 1.40 | 2.40 |
| 14119 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.20 | 2.60 |
| 14121 | ბოხუმი-ალემანია | 1.65 | 2.20 |
| 14122 | კოტბუსი -არმინია | 1.70 | 2.20 |
| 14123 | ჰამბურგი-აინტრახტი | 1.30 | 2.50 |
| 14124 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 1.70 | 2.10 |
| 14125 | მაინცი-ნიურნბერგი | 1.80 | 1.80 |
| 14126 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2.10 | 1.65 |
| 14128 | შალკე-ლევერკუზენი | 1.30 | 2.50 |
| 14179 | კიევო-ტორინო | 1.75 | 2.10 |
| 14180 | ატალანტა-პალერმო | 1.80 | 2.00 |
| 14181 | კალიარი-ლაციო | 1.80 | 1.80 |
| 14182 | კატანია-ინტერი | 2.50 | 1.20 |
| 14184 | ლივორნო-ასკოლი | 1.30 | 2.50 |
| 14185 | მესინა-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 14186 | მილანი-სამპდორია | 1.20 | 2.50 |
| 14188 | რომა-რეჯინა | 1.20 | 2.50 |
| 14190 | უდინეზე-პარმა | 1.30 | 2.50 |
| 14191 | ფიორენტინა-ემპოლი | 1.32 | 2.45 |
| 14222 | ატლეტიკო-რეალი | 1.90 | 1.90 |
| 14224 | ბარსელონა-ბილბაო | 1.04 | 2.80 |
| 14226 | ბეტისი-უელვა | 1.70 | 2.10 |
| 14227 | სელტა-რასინგი | 1.80 | 2.00 |
| 14228 | ხეტაფე-სევილია | 1.90 | 1.90 |
| 14230 | ტარაგონა-ვალენსია | 2.50 | 1.30 |
| 14232 | ლევანტე-სარაგოსა | 1.90 | 1.80 |
| 14233 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1.70 | 2.10 |
| 14234 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.90 | 1.90 |
| 14235 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.65 | 2.10 |
| 14247 | ტულუზი-მარსელი | 1.90 | 1.90 |
| 14248 | ლე მანი-მონაკო | 1.75 | 2.00 |
| 14249 | ლიონი-სოშო | 1.08 | 2.80 |
| 14251 | ნანტი-ოსერი | 1.80 | 2.00 |
| 14252 | ნიცა-ლილი | 1.80 | 1.90 |
| 14253 | რენი-სედანი | 1.40 | 2.40 |
| 14254 | ტრუა-ლორიანი | 1.75 | 2.00 |
| 14255 | ბორდო-ვალენსიენი | 1.25 | 2.50 |
| 14256 | ლანსი-ნანსი | 1.40 | 2.40 |
| 14258 | პსჟ-სტ-ეტიენი | 1.65 | 2.20 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ფულემი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ჩარლტონი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ლივერპული-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | მიდლსბრო-რედინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | უოტფორდი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | უიგანი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15118 | შტუტგარტი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15119 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15121 | ბოხუმი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15122 | კოტბუსი -არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15123 | ჰამბურგი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15124 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15125 | მაინცი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15126 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15128 | შალკე-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | კიევო-ტორინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | ატალანტა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | კალიარი-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | კატანია-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15184 | ლივორნო-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | მესინა-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | მილანი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15188 | რომა-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | უდინეზე-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | ფიორენტინა-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15222 | ატლეტიკო-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15224 | ბარსელონა-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15226 | ბეტისი-უელვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15227 | სელტა-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15228 | ხეტაფე-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15230 | ტარაგონა-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15232 | ლევანტე-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | ოსასუნა-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | სოსიედადი-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15235 | ვილიარეალი-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15247 | ტულუზი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15248 | ლე მანი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15249 | ლიონი-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15251 | ნანტი-ოსერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15252 | ნიცა-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15253 | რენი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15254 | ტრუა-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15255 | ბორდო-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15256 | ლანსი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15258 | პსჟ-სტ-ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | ფულემი-მანჩესტერი | 5.50 | 1.07 |
| 16006 | ჩარლტონი-ვესტ ჰემი | 1.60 | 2.00 |
| 16007 | ლივერპული-შეფილდი | 1.01 | 7.50 |
| 16011 | მიდლსბრო-რედინგი | 1.50 | 2.30 |
| 16012 | უოტფორდი-ევერტონი | 2.20 | 1.55 |
| 16013 | უიგანი-ნიუკასლი | 1.70 | 1.80 |
| 16014 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1.47 | 2.30 |
| 16015 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1.47 | 2.30 |
| 16118 | შტუტგარტი-ჰერტა | 1.22 | 3.40 |
| 16119 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.08 | 5.50 |
| 16121 | ბოხუმი-ალემანია | 1.45 | 2.30 |
| 16122 | კოტბუსი -არმინია | 1.60 | 2.10 |
| 16123 | ჰამბურგი-აინტრახტი | 1.22 | 3.50 |
| 16124 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 1.65 | 2.00 |
| 16125 | მაინცი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.85 |
| 16126 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2.20 | 1.45 |
| 16128 | შალკე-ლევერკუზენი | 1.20 | 3.70 |
| 16179 | კიევო-ტორინო | 1.45 | 2.35 |
| 16180 | ატალანტა-პალერმო | 1.50 | 2.20 |
| 16181 | კალიარი-ლაციო | 1.95 | 1.70 |
| 16182 | კატანია-ინტერი | 7.30 | 1.03 |
| 16184 | ლივორნო-ასკოლი | 1.15 | 4.30 |
| 16185 | მესინა-სიენა | 1.65 | 2.00 |
| 16186 | მილანი-სამპდორია | 1.05 | 6.50 |
| 16188 | რომა-რეჯინა | 1.05 | 6.50 |
| 16190 | უდინეზე-პარმა | 1.12 | 4.60 |
| 16191 | ფიორენტინა-ემპოლი | 1.12 | 4.70 |
| 16222 | ატლეტიკო-რეალი | 1.85 | 1.75 |
| 16224 | ბარსელონა-ბილბაო | 1.02 | 7.50 |
| 16226 | ბეტისი-უელვა | 1.40 | 2.50 |
| 16227 | სელტა-რასინგი | 1.55 | 2.10 |
| 16228 | ხეტაფე-სევილია | 1.85 | 1.75 |
| 16230 | ტარაგონა-ვალენსია | 4.30 | 1.14 |
| 16232 | ლევანტე-სარაგოსა | 1.85 | 1.65 |
| 16233 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1.45 | 2.30 |
| 16234 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.80 | 1.80 |
| 16235 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.37 | 2.60 |
| 16247 | ტულუზი-მარსელი | 1.75 | 1.85 |
| 16248 | ლე მანი-მონაკო | 1.80 | 2.00 |
| 16249 | ლიონი-სოშო | 1.05 | 6.40 |
| 16251 | ნანტი-ოსერი | 1.52 | 2.20 |
| 16252 | ნიცა-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 16253 | რენი-სედანი | 1.21 | 3.50 |
| 16254 | ტრუა-ლორიანი | 1.52 | 2.20 |
| 16255 | ბორდო-ვალენსიენი | 1.15 | 4.10 |
| 16256 | ლანსი-ნანსი | 1.22 | 3.50 |
| 16258 | პსჟ-სტ-ეტიენი | 1.37 | 2.60 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | ფულემი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ჩარლტონი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ლივერპული-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | მიდლსბრო-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | უოტფორდი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | უიგანი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17118 | შტუტგარტი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17119 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17121 | ბოხუმი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17122 | კოტბუსი -არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17123 | ჰამბურგი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17124 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17125 | მაინცი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17126 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17128 | შალკე-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17179 | კიევო-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17180 | ატალანტა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17181 | კალიარი-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17182 | კატანია-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17184 | ლივორნო-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17185 | მესინა-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17186 | მილანი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17188 | რომა-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17190 | უდინეზე-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17191 | ფიორენტინა-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17222 | ატლეტიკო-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17224 | ბარსელონა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17226 | ბეტისი-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17227 | სელტა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17228 | ხეტაფე-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17230 | ტარაგონა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17232 | ლევანტე-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17233 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17234 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17235 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17247 | ტულუზი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17248 | ლე მანი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17249 | ლიონი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17251 | ნანტი-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17252 | ნიცა-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17253 | რენი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17254 | ტრუა-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17255 | ბორდო-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17256 | ლანსი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17258 | პსჟ-სტ-ეტიენი | 1.85 | 1.95 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ფაჩულიამ ჯადო აიხსნა

21 თებერვალი

**ატლანტა 96:103 სან ანტონიო**

**ატლანტა:** აივი, ჯონსონი (30), მ. უილიამსი (16), სმიტი (9 ქულა, 11 მოხსნა), რაიტი; ფაჩულია (23 წუთი, 23 ქულა, 10 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), ჩილდრესი (14), სტუდემაიერი (4), შ. უილიამსი, კლაქსტონი, ჯონსი

**სან ანტონიო:** პარკერი (6), ბერი (18), ბოუენი (2), დანკანი (30 ქულა, 9 მოხსნა), ელსონი (2); ჯინობილი (40), ობერტო (2), ვონი (2), ბონერი (1), ფინლი, უდრიჰი



ზაზა ფაჩულია ტიმ დანკანმაც ვერ შეაჩერა

**ზაზა ფაჩულიამ** ერთი მცირე საწადელთაგანი აისრულა — ამ რეგულარულში მას ოთხი 22-ქულიანი თამაში ჰქონდა, ახლა კი გოროზი ტიმ დანკანის „სან ანტონიო სფურზს" 23 წუთში 23 ქულა ჩაუგდო და სეზონის რეკორდი ქულით გაიუმჯობესა. წინა სეზონში „ნიუ იორკ ნიქსთან" დამყარებულ კარიერის რეკორდამდე 3 ქულა კი დააკლდა, მაგრამ სტერეოტიპივით 22-ქულიანი ზღვარი რომ გარდატეხა, ესეც საქმეა.

სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო თამაშში ზაზას თავიდან ყველაფერი ისე კარგად არ წაუვიდა, რომ ასეთი ბარაქიანი მოსავლის მოლოდინში ყოფილიყო. მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა ბოლო ხანებში სათადარიგოებში გამწესებული ქართველი ცენტრი მატჩის დაწყებიდან 6 წუთში შეუშვა მოედანზე. ფაჩულია ასოციაციის ერთ-ერთ უმძლავრეს მეფარე ტიმ დანკანს დაუდგა და... სამ წუთში ორი ჯარიმა აიკიდა, რის შემდეგაც ვუდსონმა სკამზე დააბრუნა და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში აღარც აუყენებია.

ვუდსონს ზაზა მესამე მეოთხედის დაწყებიდან ოთხი წუთის გასვლის შემდეგ გაახსენდა და მოედანზე რომ დააბრუნა, „ატლანტა" უკვე 13 ქულას აგებდა. პირველ ტაიმში „სან ანტონიოს" არგენტინელ მსროლელ მანუ ჯინობილის მარტო პირველ მეოთხედში 24 ქულა მოუგროვდა და მისი მეთაურობით ტეხასელებმა კუდით ქვა ასროლინეს არცთუ ყოჩაღ ჯორჯიელებს.

ფაჩულიას შემოსვლამ ბევრი შეცვალა, უფრო ზუსტად, თავად ფაჩულიამ შეცვალა ბევრი — ორ შეტევაში ორ-ორი ქულა აიღო, შემდეგ ჯინობილის ბურთი ჩაუჭრა და თავისი გუნდის ლიდერ ჯო ჯონსონს ჩააგდებინა, ცოტა ხანში კი მორიგი ორქულიანით სხვაობა 8 ქულამდე შეამცირა — „ატლანტა" 54:62 მიაახლოვა მეტოქეს. მასპინძლებს სიცოცხლის ნიშატი დაეტყოთ და მძლავრ მეტოქეს წინააღმდეგობა და აგრესიული შეპაექრება შეჰბედეს. მესამე მეოთხედის დასასრული კი პირადად ზაზასი იყო, ამ 12-წუთეულის ბოლო სამ წუთში ზედიზედ ოთხი შეტევა დაასრულა შედეგიანად, აქედან მეოთხე ზედ პერიოდის ბოლო წამზე ჩააგდო და ანგარიში 70:70 გაათანაბრა, რითაც „ატლანტას" თამაშის გადარჩენის სერიოზული შანსი დაუბრუნა.

მასპინძლები მაინც ვერ იყვნენ მოგებაზე დაგეშილები. დაიწყო ბოლო მეოთხედი და სანანტონიოელთა მხრიდან ისევ ჯინობილი გადაირია, რომელმაც ორი საჯარიმო, სამქულიანი და ორქულიანი მიყოლებით მოაკალათა და 77:72 დააწინაურა თავისიანები. „ატლანტას" მერე ძალიან წინ აღარ გაუშვია მოწინააღმდეგე. სხვების მხარდამხარ, მომხდურებს ფაჩულიაც პასუხობდა და დასკვნით პერიოდში მან 8 ქულაც გაახერხა, მაგრამ მესამეში ჩადენილი გმირობა ვეღარ გაიმეორა და თავისი გუნდი ვეღ დააწია „სან ანტონიოს". ის კი მოახერხა, რომ 22-ქულიან მაგიურ ზღვარს გადააბიჯა და მოხსნებიც იმდენი აკეთა, რომ ორმაგი დუბლისთვის ეყო.

**ბოტე ყორშია**

**ჰიუსტონი 112:102 მაიამი**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (32), ჰოვარდი (15)

**მაიამი:** ვეიდი (27), ონილი (20 ქულა, 16 მოხსნა)

**ლეიკერსი 108:112 პორტლენდი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (25), ევანსი (23), პარკერი (18), ოდომი (16)

**პორტლენდი:** ჯეკი (30), რენდოლფი (22), ოლდრიჯი (18), როი (16)

**დეტროიტი 110:88 ორლანდო**

**დეტროიტი:** ვებერი (18), ჰამილტონი (18), ბილაფსი (17), მაკდაიესი (14)

**ორლანდო:** ჰოვარდი (26 ქულა, 15 მოხსნა), ნელსონი (14)

**ინდიანა 136:129 მილუოკი**

ძირითადი დრო 114:144

**ინდიანა:** ონილი (29 ქულა, 15 მოხსნა), გრეინჯერი (26), დანიელსი (22), მერფი (19 ქულა, 10 მოხსნა), დანლივი (16)

**მილუოკი:** რედი (38), უილიამსი (24 ქულა, 10 მოხსნა), ბელი (21), ბოგუტი (19)

**ფინიქსი 118:108 ბოსტონი**

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (32 ქულა, 12 მოხსნა), ბორბოსა (26), ბელი (20), მერიონი (17 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (14 ქულა, 13 პასი)

**ბოსტონი:** პირსი (24), ჯეფერსონი (23 ქულა, 17 მოხსნა), გომესი (21), ვესტი (17)

**გოლდენ სტეიტი 118:102 მემფისი**

ძირითადი დრო 102:102

**გოლდენ სტეიტი:** ჯეკსონი (26 ქულა, 12 პასი), ჰარინგტონი (22), ელისი (22), ბიედრინსი (21 ქულა, 14 მოხსნა), რიჩარდსონი (19 ქულა, 10 მოხსნა)

**მემფისი:** მილერი (45), გასოლი (22 ქულა, 14 მოხსნა), გაი (17 ქულა, 10 მოხსნა)

**ფილადელფია 104:84 ნიუ იორკი**

**ფილადელფია:** კორვერი (31), მილერი (19), სმიტი (14)

**ნიუ იორკი:** კარი (22), კროუფორდი (14), ბალკმანი (13)

**ტორონტო 85:86 კლივლენდი**

**ტორონტო:** ბოში (24 ქულა, 10 მოხსნა), ბარნანი (18)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (29), ვარეჟაო (16 ქულა, 15 მოხსნა), პიუზი (14)

**ნიუ ჯერსი 107:111 ნიუ ორლეანი**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი 46), ნახბარი (15), კიდი (6 ქულა, 14 პასი, 9 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (32), პოლი (19 ქულა, 11 პასი), ჯეკსონი (17)

**მინესოტა 95:100 შარლოტი**

**მინესოტა:** გარნეტი (22 ქულა, 11 მოხსნა), ჯეიმსი (17)

**შარლოტი:** მორისონი (26), კეროლი (20), ვოლესი (18), ოკაფორი (12 ქულა, 19 მოხსნა)

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკი** | | | |
| ტორონტო | 29 | 25 | 53,7 |
| ნიუ ჯერსი | 25 | 30 | 45,5 |
| ნიუ იორკი | 24 | 31 | 43,6 |
| ფილადელფია | 18 | 36 | 33,3 |
| ბოსტონი | 13 | 40 | 24,5 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 34 | 19 | 64,2 |
| კლივლენდი | 32 | 22 | 59,3 |
| ინდიანა | 29 | 24 | 54,7 |
| ჩიკაგო | 30 | 25 | 54,5 |
| მილუოკი | 19 | 36 | 34,5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ვაშინგტონი | 30 | 21 | 58,8 |
| ორლანდო | 27 | 28 | 49,1 |
| მაიამი | 26 | 27 | 49,1 |
| შარლოტი | 21 | 33 | 38,9 |
| ატლანტა | 21 | 33 | 38,9 |

NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 44 | 9 | 83,0 |
| სან ანტონიო | 37 | 18 | 67,3 |
| ჰიუსტონი | 34 | 19 | 64,2 |
| ნიუ ორლეანი | 26 | 29 | 47,3 |
| მემფისი | 14 | 42 | 25,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 35 | 18 | 66,0 |
| დენვერი | 26 | 26 | 50,0 |
| მინესოტა | 25 | 29 | 46,3 |
| პორტლენდი | 24 | 32 | 42,9 |
| სიეტლი | 21 | 32 | 39,6 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 41 | 13 | 75,9 |
| ლეიკერსი | 30 | 25 | 54,5 |
| გოლდენ სტეიტი | 26 | 29 | 47,3 |
| კლიპერსი | 25 | 29 | 46,3 |
| საკრამენტო | 23 | 29 | 44,2 |

## თვალი, თვალი...



„დეტროიტ პისტონზის" თავდამსხმელ-ცენტრმა კრის ვებერმა რეგულარული ჩემპიონატის გასულ ტურში კინაღამ თვალი ამოიგდო. დეტროიტელები „ორლანდოს" ხვდებოდნენ. თამაში სულ რაღაც 70 წამის დაწყებული იყო, როცა ვებერს ხიფათი შეემთხვა. ორლანდოელმა დუაიტ ჰოვარდმა მეტოქის ფარს შეუტია, მაგრამ ბურთის სროლისას ვებერს ხელი თვალში მოარტყა და ეს უკანასკნელი საწამლო შეიქნა. ვებერს დარბაზში მყოფმა სამედიცინო პერსონალმა აღმოუჩინა დახმარება და ისიც სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა, ოღონდ მოედანზე აღარ გასულა.

## ინდიანელები დააპატიმრეს

„ინდიანას" მოთამაშეებმა — ჯამალ ტინსლიმ და მარკუს დენიელსმა გადაწყვიტეს, „მილუოკის" დამარცხება ბარში აღენიშნათ და მერე შეზარხოშებულებმა ჩხუბი ატეხეს. ამის გამო პოლიციამ ორივე კალათბურთელი დააპატიმრა, მაგრამ ტინსლის უფრო ცუდად აქვს საქმე. მას ხულიგნობა, პიროვნების შეურაცხყოფა, სხეულის განზრახ დაზიანება და მუქარა ედება ბრალად. დენიელსს კი მხოლოდ ხულიგნობას ედავებიან. ამ საქმეს მალე სასამართლო გაარჩევს.

## ვეიდს მხარი ცუდად დაუჭირეს



მაიამელმა ვარსკვლავმა დუეინ ვეიდმა „ჰიუსტონთან" გუშინდელ მატჩში მხარი დაიზიანა და გუნდს დალასში ვერ გაჰყვა. თამაშის უკანასკნელ მეოთხედში, როცა ვეიდს უკვე მოეჭუჩებინა 27 ქულა, ჰიუსტონელ შეინ ბეტიეს წამოედო და ისე უხერხულად დაეცა, რომ ჰოსპიტალში წასაყვანი გახდა. ჯერჯერობით არაა ცნობილი, როდის დაუბრუნდება ვეიდი მოედანს. სავარაუდოდ, მალე.

## გორდონმა ჩაიმუხლა

„ჩიკაგო ბულზის" ლიდერი ბენ გორდონი „ატლანტასთან" ამასწინანდელ მატჩში მსუბუქად დაშავდა. თამაშის დასრულებამდე 9 წუთით ადრე მან მუხლი იტკინა, რომელიც ექიმებმა მყისვე ყინულში ჩაუფლეს. გორდონმა თქვა, სერიოზული არაფერი იყო, მოედანზე დაბრუნებაც შემეძლო, მაგრამ დიდი ანგარიშით ვიგებდით და გარისკვა არ ღირდაო.

## ჯამაალს ბაი-ბაი უნდა



„პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" ცენტრალური თავდამსხმელი ჯამაალ მაგლოირი უკმაყოფილოა, ცოტას რომ ათამაშებენ და გუნდიდან წასვლა უნდა. მას მსურველიც გამოუჩნდა — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი", რომელიც მაგლოირში პორტლენდელებს კრის მიმსა და აარონ მაკის სთავაზობს.

მაგლოირმა საოლსტარო შესვენების შემდეგ კლუბში მისვლა დააგვიანა და მწვრთნელმა დასაჯა — „იუტასთან" მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარებინა. ჯამაალი ამ სეზონში მოედანზე საშუალოდ 18 წუთს ატარებს და 5-5 ქულა-მოხსნას იხვეჭს.




## სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი. სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური, ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები. ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა. 1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე. სპორტულ ტერმინთა განმარტებები. ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე, სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე. უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა. რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი, 704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31); "სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

ჩოგბურთი

# ჟუსტინს ტამირა ემწარა


ჟუსტინ ენინი

AFP ფუბაიდან

**ქმართან** გაყრის შემდეგ ჩოგბურთის იმტაზე ჯერ კიდევ ვერ მოვიდა ჟუსტინ ენინი, რომელიც საკმაოდ არადამაჯერებლად გამოიყურება. მის თავზე ყველაფერი რიგზე რომ ვერ არის, ჭინკა ბელგიელმა გუშინაც დაამტკიცა, როცა ორ საათზე მეტი იჯახირა 16 წლის ავსტრიელ ტამირა პაჟეკთან. დუბაის სამგზის ჩემპიონმა ბელგიელმა, რომელსაც ამ ქალაქში აქამდე ერთხელაც არ წაუგია, უსაზიზღრესად დაიწყო და პირველი სეტი მალევე წააგო. მართალია, ენინი მეორე პარტიაში 4:1 დაწინაურდა, მაგრამ აქ კიდევ ერთხელ „გამოიჩინა“ თავი და თინეიჯერ ავსტრიელს კვლავ მისცა დაწევის საშუალება — 5:5. როგორც ჩანს, ჟუსტინი სწორედ აქ გამწარდა ყველაზე მეტად და ახალგაზრდა მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვა, საბოლოო ანგარიში კი ასეთია, 4:6 7:5 6:1.

მოიგეს სხვა ფავორიტებმაც — სვეტლანა კუზნეცოვამა და მარტინა ჰინგისმა. რუსს პრობლემაც კი არ შექმნია მეგან შონესისთან. შვეიცარიელმა კი მაგრად იწვალა და წარმატებისკენ ენინის მსგავსად გაიკაფა გზა — პირველი სეტი დათმო და მერე ბლომად ძალები შეახარჯა მატჩის სათავისოდ შემობრუნებას. აი, ამელი მორესმო სულაც ნახევარფინალშია, რაც ფრანგმა დანიელა ჰანტუხოვას დამარცხებით შეძლო.

ფავორიტების ზეობით მიმდინარეობს როტერდამში მიმდინარე ტურნირიც. მეოთხედფინალის საგზური გაინაღდა პირველ ნომრად განთესილმა ნიკოლაი დავიდენკომ, გადაუარა რა მარკ ჟიკელს. რუსის გარდა საუკეთესო რვაში ადგილი ნოვაკ ჯოკოვიჩმაც დაიმსახურა, ოღონდ ანდრეი პაველს პირველი სეტი დაუთმო და მხოლოდ მერეღა გამოიღვიძა.

მემფისში კი ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ერთი კვირის წინ სან ხოსეში ნანახი ენდების კიდევ ერთ ნახევრფინალს ვიხილავთ. ყოველ შემთხვევაში, ამისკენ პირველი ნაბიჯები გადადგეს როგორც როდიკმა, ისე მიურეიმ. ამერიკელს გამოცდილი შვედი ტომას იოჰანსონი შემოელახა. მიურეიმ კი პრობლემების გარეშე ვერ გაძლო და კანადელ ფრანკ დანსევიჩს „დიდსულოვნად“ აღებინა ერთი პარტია, თუმც მალევე გამოასწორა შეცდომა და გადამწყვეტი სეტი ერთი ამოსუნთქვით მოიგო.

**ბაჩა ლომჯუშვილი**

რაგბი

# ოდრისკოლმა, ჯონის აკლიათ

ირლანდიელთა კაპიტანს, „ღმერთად“ წოდებულ ბრაიან ოდრისკოლს მიაჩნია, რომ უქმეებზე ინგლისთან ისტორიული მატჩის წინ ფავორიტი ირლანდიაა. „ვფიქრობ, რომ მოგების მეტი შანსი ჩვენ გვაქვს. ჯერ ერთი, შინ ვთამაშობთ და ამასთან მეტოქეს გვარიანი დანაკლისი აქვს“ — განაცხადა ოდრისკოლმა. კელტთა კაპიტანის აზრით, ინგლისის ნაკრებში ჯონი უილკინსონის დაბრუნება რაგბის მხოლოდ წაადგება, მაგრამ ოდრისკოლი იმასაც ამბობს, რომ 2003 წლის მსოფლიოს თასის გმირს ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი უკლია და ეს ფაქტორი ირლანდიელებმა სათავისოდ უნდა გამოიყენონ.

# ეშტონს ვარდები შემოეფცქვნა


ჯეისონ რობინსონი

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ბრაიან ეშტონი საგონებელშია. ირლანდიასთან ჯახის წინ „ვარდების“ 60 წლის მოძღვარს მორაგბე მორაგბეზე აკლდება. ჯერ იყო და, ძირითადი შემადგენლობის ექვსი მოთამაშე შეკრებაზე მიკროტრავმებით გამოცხადდა, მერე გაირკვა, რომ შერკინების „ტვინი“ სტივ ტომპსონი ხერხემლის ტრავმის გამო შემოდგომაზე გასამართ მსოფლიოს თასსაც კი გამოტოვებს, ახლა კი „ვარდებს“ ნაკრებში დაბრუნებული ჯეისონ რობინსონიც გამოაკლდათ. 31 წლის მელელოვემ ინგლისის ჩემპიონატის მატჩში იდაყვი დაიზიანა და მინიმუმ ორკვირიანი უქმობა მოუწევს.

ჯეისონის შემცვლელად ეშტონმა „ჰარიქუინზის“ მოიერიშეს დევიდ სტრელეს უხმო.

# იბანიესი უელსს უფრთხის



საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი რაფაელ იბანიესი ამბობს, რომ უელსთან უქმეებზე გასამართი მატჩი „მამლებისთვის“ გასეირნება ნაღდად არ იქნება. „მართალია, ჩვენ საწყისი ორი მატჩი მოვიგეთ, უელსმა კი ორივე წააგო, მაგრამ ეს ისეთი გუნდია, როდის აფეთქდება, კაცმა რომ არ იცის. ამიტომ თავი არ უნდა დავიარხეინოთ და მეტოქეს მაქსიმალურად ფრთხილად მივუდგეთ. თუ ასე მოვიქცევით, როგორც სერიოზულ მეტოქეს, მაშინ, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მოვიგებთ“ — განაცხადა იბანიესმა.

ბარის თხილამურობა

# მსოფლიოს ჩემპიონატი
## საპორო. იაპონია. 22 თებერვალი – 4 მარტი

# ნორვეგიული დუბლი

**იაპონიის** ყველაზე ჩრდილოეთ კუნძულ ჰოკაიდოს მთავარქალაქ საპოროში, იქ, სადაც 1972 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები ჩატარდა, ბარის მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ნორვეგიელთა ტრიუმფით დაიწყო.

ჩემპიონატი სპრინტერული რბოლებით გაიხსნა და ქალებშიც და კაცებშიც, სწორედ ვიკინგების შთამომავლებმა იმარჯვეს.

ქალებში ფავორიტად სეზონის ლიდერი, ფინელი ვირპი კუიტუნენი ითვლებოდა, მაგრამ ის ფინალური რბოლისას, 1200 მეტრიანი დისტანციის სტარტისთანავე ჩამორჩა სლოვენიელ პეტრა მაიდიჩსა და ნორვეგიელ ასტრიდ იაკობსენს. ბოლოსკენ ვირპიმ კი მოინდომა, მაგრამ წინ წასულთა დაწევა ველარ შეძლო. იაკობსენისა და მაიდიჩის დუელში კი ნორვეგიელმა იმარჯვა და კარიერაში პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა.

კაცთა ფინალში სამი შვედი და ორი ნორვეგიელი იყო და ამ ჯერზე ორმა აჯობა სამს. იენს არნე სვარტედალი და ეიდარ რონინგი თავიდანვე დაწინაურდნენ და შვედმა მატს ლარსონმა ისღა მოახერხა, რომ ბოლოსკენ ნორვეგიელთა დუეტი შუაზე გახლიჩა. მეორე შვედი, ტურინის ოლიმპიადის ჩემპიონი ბიორნ ლინდი მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

### კაცები

| 1,4 კმ სპრინტი | |
|---|---|
| 1 იენს არნე სვარტედალი (ნორვეგია) | 3 წთ 03,8 წმ |
| 2 მატს ლარსონი (შვედეთი) | +0,2 |
| 3 ეიდარ რონინგი (ნორვეგია) | +0,8 |
| 4 ბიორნ ლინდი (შვედეთი) | +1,1 |
| 5 ენდრიუ ნიუელი (აშშ) | +3,1 |

### ქალები

| 1,2 კმ სპრინტი | |
|---|---|
| 1 ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია) | 2 წთ 50,9 წმ |
| 2 პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | +0,2 |
| 3 ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | +0,3 |
| 4 ანა დალბერგი (შვედეთი) | +1,8 |
| 5 მადოკა ნაცუმი(იაპონია) | +2,2 |

ჭადრაკი

### მორელია-ლინარესის სუპერტურნირი
მექსიკა-ესპანეთი. 16 თებერვალი - 11 მარტი

IV ტური

| | | |
|---|---|---|
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 1:0 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0:1 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |

| | |
|---|---|
| 1. ვიშვანათან ანანდი | 3,0 |
| 2. მაგნუს კარლსენი | 2,5 |
| 3. ვასილ ივანჩუკი | 2,0 |
| 4. პეტერ ლეკო | 2,0 |
| 5. პიოტრ სვიდლერი | 2,0 |
| 6. ლევონ არონიანი | 2,0 |
| 7. ვესელინ ტოპალოვი | 1,5 |
| 8. ალექსანდრ მოროზევიჩი | 1,0 |

# ვიშიმ რუსიც აჩიშვიშა

**ფიდეს** რეიტინგის მეორე ნომერი ვიშვანათან ანანდი ცხრილის ერთპიროვნული ლიდერია. მეოთხე ტურში მან აუტსაიდერ ალექსანდრ მოროზევიჩს მოუგო და 3 ქულით პირველი ადგილი გაითავისა.

პარტია ინდუსმა კლასიკური e4-ით დაიწყო, მე-5 სვლაზე როქი გააკეთა და წინა ხაზის გაძლიერებას შეუდგა. მოროზევიში ფრთხილად თამაშობდა. მან ჯერ ლაზიერის ფლანგი გააძლიერა, დამრტყმელი ძალა აქეთ გადმოსხა და თეთრებს შეუტია. ანანდმა ხელმწიფის ფლანგზე დაქოქა ფიგურები, მხედრები საომრად მომართა და გაცვლებს შეუდგა. 43-ე სვლაზე ანანდმა პაიკი მოიგო, შეტევა კიდევ უფრო გაამწვავა და 58-ე სვლაზე ქულა აიღო.

კვლავ გააოცა გულშემატკივრები 16 წლის მაგნუს კარლსენმა. პატარა ნორვეგიელმა ცხრილის აწ უკვე ყოფილ ლიდერ ვასილ ივანჩუკს შავი ფიგურებით სძლია და მეორე ადგილზე 2,5 ქულით აცოცდა.

კარსლენმა აგრესიული თამაში შესთავაზა უკრაინელს, თავიდანვე ლაზიერის ფლანგიდან შეუტია და ფიგურები მიუნგრია. როგორც ჩანს, ივანჩუკი ასეთ შემოტევას არ ელოდა, საპასუხოდ ვუნდერკინდს ვერაფერი შესთავაზა და მე-60 სვლაზე გამარჯვება მიულოცა.

**ლუშა გეგეჭკორი**

წყალბურთი

# ქართველებმა სევასტოპოლიც აიღეს

**გუშინ** მარიუპოლში, უკრაინის წყალბურთელთა ღია ჩემპიონატის II ტურის ბოლო, მესამე შეხვედრაც მოიგეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა, რომლებმაც სევასტოპოლელთა გუნდს სძლიეს. ჩვენმა წყალბურთელებმა, ისე როგორც ტურის პირველი ორი შეხვედრა ხარკოვისა და ლვოვის დინამოელებთან, კვლავ ერთბურთიანი სხვაობით იმარჯვეს.

საინტერესოა, რომ საქართველოს წყალბურთელები სევასტოპოლელებთან შეხვედრის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე ერთი ბურთის სხვაობით აგებდნენ, მაგრამ დარჩენილ დროში ორჯერ აიღეს მეტოქის კარი და ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვეს.

ორი ტურის შემდეგ ჩვენ წყალბურთელებს ექვსი შეხვედრიდან ოთხი მოგება და ორი წაგება აქვთ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ოლიმპიზმი

# ისევ ბოლოში

**ხაკაში** მიმდინარე ევროპის ახალგაზრდობის VII ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს წარმომადგენლები ბოლო ადგილებს ვერც თამაშების მორიგ დღეს გასცდნენ. ნინო ნინუამ სპეციალურ სლალომში თანაგუნდელ ირაკლი ჩხეიძის ბედი გაიზიარა — დავარდა და დისტანცია ველარ დაასრულა. ბიატლონში ბაკურიანელი ეკატერინე მურადიანი ბოლო, 69-ე ადგილზე გავიდა; ამავე სახეობაში ვაჟთა შორის, სადაც 82 სპორტსმენი გამოდიოდა, ბაკურიანელმა გიორგი ავაქიანმა მხოლოდ ორს აჯობა.

ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

21 თებერვალი

**ვაშინგტონი 2:3 სან ხოსე**

*2:1 0:0 0:1 0:0 (0:1 ბულიტები)*

1:0 მორისონი (10), 2:0 სატერბი (11), 2:1 რისმილერი (18), 2:2 კარლი (46)

**დეტროიტი 4:2 ჩიკაგო**

*0:1 1:0 3:1*

0:1 ვრბატა (7), 1:1 დრეიპერი (27), 2:1 დაციუკი (50), 2:2 სმოლინსკი (51), 3:2 ზეტერბერგი (54), 4:2 ზეტერბერგი (60)

# ფანხიოს მოტაცება

## კასტროს მაესტრო სარეკლამოდ დასჭირდა



1958 წლის 23 თებერვალი საინტერესო თარიღად ჩაიწერა ფორმულა 1-ის ისტორიაში. არა იმიტომ, რომ მაშინ შედგა რბოლა, რომელმაც, ვთქვათ, მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა გაარკვია, არამედ სკანდალური მიზეზის გამო. იმ დღეს ჰავანაში კუბის დიდი პრიზის გათამაშების წინ „სამეფო რბოლების" ხუთგზის გვირგვინოსანი ხუან მანუელ ფანხიო მოიტაცეს. ეს თავზეხელაღებული აქცია განახორციელეს ფიდელ კასტროს მხარდამჭერთა პოლიტიკურ ორგანიზაცია „26 ივლისის მოძრაობის" წევრებმა, რომელთა მიზანიც იყო ქვეყნის დიქტატორ ბატისტას პროამერიკული რეჟიმის დამხობა. პოლიტიკურ აქტივისტთა ცხრაკაციან ჯგუფს მეთაურობდა ვინმე ფაუსტინო პერესი. თავად კასტრო იმხანად სიერა-მაესტრას მთებში იბრძოდა.



ვილა, რომელშიც ფანხიომ 26 საათი გაატარა

იმ ცხრათაგან ერთ-ერთი, **არნოლდ როდრიგეს პამპსი**, შემდგომში იხსენებდა: *„ფული არაფერ შუაში იყო, ჩვენთვის აუცილებელი იყო, სახელი გაგვეთქმნოდა და ამას მივაღწიეთ. თავისუფლებისთვის ვიბრძოდით და რაღაც უნდა გველონა, რათა მსოფლიოს გაეგო ჩვენი რევოლუციური განზრახვის სერიოზულობა. თანაც გვინდოდა, დაგვემტკიცებინა, რომ ბანდიტები და მკვლელები არ ვიყავით, როგორც ბატისტამ მოგვნათლა, ამიტომაც გადავწყვიტეთ, ერთი ღამით ფანხიო ჩვენი სტუმარი გამხდარიყო."*

თავიდან არგენტინელი მრბოლის „აყვანას" ჰავანაში ჩაფრენისთანავე, აეროპორტში აპირებდნენ, მაგრამ იქ ყოველ ნაბიჯზე პოლიციელები იდგნენ. მეორე ვარიანტი იყო ამ არასაჩემპიონატო რბოლისწინა პრესკონფერენცია, თუმც პოლიციელთა მიზეზით ესეც ვერ განხორციელდა.

*„ვიცოდით, რომ ფანხიოს ჩვევად ჰქონდა რბოლის წინ ტრასის ფეხით გავლო და ამ მომენტის გამოყენებაც ვცადეთ, მაგრამ მას გამუდმებით ხალხი ერტყა გარს. გეგმა ჩაშლის პირას იყო და ავნერვიულდით. ჩვენი ბრძოლისადმი სიმპათიით გამსჭვალული ერთი ჟურნალისტი დაგვეხმარა, რომელმაც ფანხიოს ჰავანაში გადაადგილების დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდა."*

გადაწყდა, ჩემპიონი ოტელ „ლინკოლნში" დაეკავებინათ ვახშმის წინ. რევოლუციონერებმა დღისით სამი მანქანა გაიტაცეს, რომლებიც სასტუმროსთან დააყენეს პალტოში ავტომატდამალული მცველით. სამნი ჰოლში დარაჯობდნენ.

*„როგორც იქნა, ფანხიო გამოჩნდა. ჩვენი ბიჭები მასთან მივიდნენ და უთხრეს — გთხოვთ, გამოგვყევით, ჩვენ 26 ივლისის მოძრაობიდან ვართ და ეს მოტაცებააო. არგენტინელი თავიდან შეეწინააღმდეგა, მაგრამ როცა მისკენ მიშვერილი პისტოლეტი დაინახა, უხმაუროდ დათანხმდა."*

იგი ძველ „პლიმუტში" ჩასვეს და სწრაფად წაიყვანეს სასტუმროდან ათიოდე მილის მოშორებით მდებარე პატარა ვილაში. ის ეკუთვნოდა მანდილოსანს, რომელიც ორ ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა. სამივენი „მოძრაობის" წევრები იყვნენ. მათ სტუმრები ხშირად ჰყავდათ და მეზობლებს არ გაჰკვირვებიათ, რომ საღამოს ცხრის ნახევარზე სახლში რამდენიმე ახალგაზრდა შევიდა.

არგენტინელი მეორე სართულზე საძინებელში აიყვანეს, მაგრამ გაახსენდათ, რომ მშიერი იყო და სამზარეულოში სავახშმოდ მიიპატიჟეს. იქ ხუთგზის ჩემპიონმა ერთ-ერთ ქალიშვილს ავტოგრაფიც კი უსახსოვრა.

*„ფანხიო სულაც არ ჩანდა შეშინებული. მართალია, სიტუაცია არ მოსწონდა, მაგრამ გრძნობდა, რომ საფრთხე არ ემუქრებოდა, მშვიდად იყო და ყველას გველაპარაკებოდა. უცნაურია, მაგრამ ჩვენ ვხუმრობდით კიდეც. იგი ნამდვილი ჯენტლმენივით იქცეოდა."*

ლეგენდარული მრბოლის გატაცების ამბავი ჰავანაში ელვის სისწრაფით გავრცელდა. ქალაქის ქუჩები პოლიციელებით გაივსო. ისინი არაფერზე არ დაიხევდნენ უკან, ოღონდ ბანდა გაენადგურებინათ.

*„ამის მიუხედავად, მშვიდად ვიყავით. ბატისტას კუბაზე ვერ იტანდნენ და ვიცოდით, რომ პოლიციის ჯაშუშების გარდა არავინ გაგვცემდა. მთელი ქალაქი ბატისტას დასცინოდა, ეს მისი პოლიტიკური ფიასკო იყო, რაც მალე მთელმა მსოფლიომ შეიტყო — ჩვენც ხომ სწორედ ეს გვსურდა."*

რევოლუციონერები გეგმავდნენ, „მაესტრო" სამ სანდო ჟურნალისტთან გაესაუბრებინათ, თუმც მხოლოდ ერთი შედგა — მექსიკელ რეპორტიორთან, რომელიც კასტროსთან ინტერვიუსთვის იყო ჩასული. მექსიკელი გაბრუნდა ფანხიოს წერილით, რომელშიც იგი იუწყებოდა, რომ კარგად ექცევიან და არაფერს უჩივის.

გამტაცებლებმა მიზანს მიაღწიეს. მთებში გადამალული მათი რადიოსადგური „რებელა" და სამხრეთ ამერიკის სხვა სადგურები განუწყვეტლივ იტყობინებოდნენ დიადი მრბოლის გაუჩინარებაზე. ასე რომ, კუბის რევოლუციაზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა.

თუმც ახლა ახალმა პრობლემამ იჩინა თავი — როგორ დაებრუნებინათ უკან დიადი მრბოლი. თავიდან ფიქრობდნენ, არგენტინის ელჩისთვის გადაეცათ, მაგრამ რეზიდენცია გარშემორტყმული იყო პოლიციელებით, რომელთაც შეეძლოთ, გამოჩენისთანავე ყველა დაეხოცათ, მათ შორის ფანხიოც, მერე კი ამაში რევოლუცია და კასტრო დაედანაშაულებინათ.

მერე ვიღაცას მოუვიდა აზრად, რომ ჩემპიონი ელჩისთვის ჩაებარებინათ არგენტინის სამხედრო ატაშეს სახლში, რომლის ადგილსამყოფელიც პოლიციამ არ იცოდა. ასეც მოიქცნენ.



ფანხიო და მისი „მაზერატი" ჰავანაში გატაცების წინა დღეს

დაბრუნება მოხდა რბოლის შემდეგ, შუაღამისას. კუბის დიდი პრიზი ინგლისელმა სტირლინგ მოსმა მოიგო „ფერარით". რბოლისას ავარიის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა (სხვა ცნობით — ექვსი).

როდრიგეს კამპსმა და მისმა ორმა „ოჯლისელმა" არგენტინელი, რომელმაც „ტყვეობაში" 26 საათი გაატარა, მანქანით ატაშეს სახლში მიიყვანეს: *„სიწყნარე იყო, თუმც თავის დასაზღვევად სახლს ერთხელაც შემოვუარეთ, მერე ლიფტით მეცხრე სართულზე ავედით. ელჩი რაულ ლინჩი ორ თანამშრომელთან ერთად ადგილზე დაგვხვდა. ფანხიომ ჩვენ წარგვადგინა, როგორც თავისი ახალი კუბელი მეგობრები და, ვფიქრობ, ეს გულწრფელად თქვა."*

კამპსმა ელჩს გადასცა წერილი, რომელშიც ბოდიშს იხდიდნენ მიყენებული უსიამოვნებისთვის და განაცხადა იმის შესახებ, რომ ხუან მანუელ ფანხიო რევოლუციური მოძრაობის საპატიო წევრი გახდა. შემდეგ გამტაცებლები წავიდნენ.

*„მას შეეძლო ჩვენი ჩაშვება და იმ ბინის ჩვენება, სადაც გვყავდა, რადგან თვალები არც კი ავუხვევია. მაგრამ ეს არ იკადრა, რაც ბევრს მეტყველებს მის პიროვნულ ღირსებაზე. მე მას უდიდეს პატივს ვცემდი და იმ 26 საათში მართლაც დავმეგობრდით."*

ამ ისტორიას გაგრძელება ჰქონდა. 1959 წლის იანვარში „მაესტრო" კუბაში რევოლუციის გამარჯვებისადმი მიძღვნილ ფიესტაზე მიიწვიეს, მაგრამ ეს ვიზიტი არ შედგა. თუმც გამტაცებელ-გატაცებულს შემდგომში მიმოწერა ჰქონდათ და რამდენჯერმე შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს. მოგვიანებით, ჰავანაში სტუმრობისას, ლეგენდარული ავტომრბოლი თვით კასტრომაც მიიღო.

20 წლით უმცროსმა კამპსმა რამდენჯერმე ჩააკითხა მეგობარს ბუენოს აირესში, უკანასკნელად 1995 წელს, „მაესტროს" გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე. ფანხიო 84 წლისა აღესრულა.

***ჟურნალ F1 RACING-ის მიხედვით***


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39-48-29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge